


693  
1964/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



განიკი  
№ 5 1964 გ.

# სასაბუნო ქართული



# ქუჩაზე „საქართველოს ქალის“ კარგადიანს ერჩივნებოდა ზინჯირითა და მარჯვენა ხელის მკობრებს


საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას, ავტორთა აქტივსა და მრავალრიცხოვან მკითხველებს მის სახელოვან 40 წლისთავს.

მთელი ამ წლების მანძილზე ჟურნალ „საქართველოს ქალს“ დაუცხრომლად შეაქვს რესპუბლიკის მშრომელ ქალთა მასებში კომუნისტური პარტიის მგზნებარე სიტყვა, წერს მათ შესანიშნავ საქმეებზე, ასწავლის კომუნისტურად ცხოვრებასა და მუშაობას.

დიდი წვლილი შეაქვს ჟურნალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მშრომელ ქალთა ფართოდ ჩაბმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელ ქალთა აღზრდის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივს, მის კორესპონდენტებსა და მკითხველებს ახალ წარმატებებს უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ჩვენი პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი**



## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი „საქართველოს ქალი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **ბ. კოჭენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. კვამაძე**

ქ. თბილისი, 1964 წლის 3 მარტი.

ამ ცოტა ხნის წინათ აღინიშნა საქართველოში ქალთა ჟურნალის დაარსების 40 წლისთავი. რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამო, თავი მოიყარეს რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებმა. აქვე იყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული სტუმრები — მოსკოვისა და მოძვე რესპუბლიკების ქალთა ჟურნალების რედაქტორები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ანხ. დ. მჭედლიძემ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანხ. დ. სტურუამ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციისადმი.

მოხსენება თემაზე: „განვლილი 40 წელი“ გააკეთა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა ანხ. თ. აბაშმაძემ.

დედებს ჟურნალის დაარსების 40 წლისთავი პირველად ოქტომბრულემა მიულოცეს. მათ იმდერეს ა. ოსტროვსკის პოპულარული სიმღერა „დაე მუდამ იყოს მზე.“

მისალომებელი სიტყვები წარმოთქვეს ჟურნალ „რატონიკას“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ვავილიანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარაძემ, ჟურნალ „კრესტიანკას“ მთავარმა რედაქტორმა ი. კობიკოვამ, უკრაინის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ნ. პრინოდკომ, ბელორუსიის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ა.

უსმა, მოწინავე ჩაის მკრეფავმა ნ. გოგატაძემ, ყაზახეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ა. ყაკეტოვამ, მოწინავე მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. სობოლევამ, ესტონეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ს. კულპაკმა, უზბეკეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორის მოადგილემ ხ. ახაროვამ, თურქმენეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა კ. მამიევამ, აზერბაიჯანის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა შ. აგაევამ, სომხეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ა. ერიციანმა, მოლდავეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორმა ვ. ტანასოვამ, აფხაზმა პოეტმა ქალმა ნ. თარბამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ს. სიხარულიძემ, გეგეკორელმა პედაგოგმა — მრავალშვილიანმა დედამ ე. თვალავაძემ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახელით ნ. მშველიძემ, ჟურნალის მკითხველმა თელავიდან პ. ზეინაბიშვილმა.

რედაქციას მრავალი მისალმების ადრესები გადაეცა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჟურნალ „საქართველოს ქალის“ დაჯილდოების შესახებ ბრძანებულება წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ანხ. ზ. კვამაძემ სიგელი ჟურნალის რედაქტორს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ანხ. მ. ლულაშვილმა და შემდგომი შემოქმედებითი წარმატება უსურვა ჟურნალის კოლექტივს.

4362

საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



საქართველო



# სიმბოლოს ქარი

ეროვნული  
ნიშნითა

ვერის ხიდთან, მტკვრის სახაიოთი უახლოესი ჩხვიის ქუჩაა. ქუჩის პირას წითელი აგურით ნაგები დიდი შენობაა — ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოს შენობა. ქირურგიული განყოფილების სამორიგო ოთახში თეთრხალათიანი, შავგვერდებიანი ქალი ზის.

9 მაისია, გამარჯვების დღე.

...ზის ქალი და აგონდება თეთრფინელბთანი ომი, სამამულო ომის მწარე დღეები, ლენინგრადის ბლოკადა. თითქოს ახლაც ჩაესმის ყურში მომაკვდავის განწირული ხმა:

— ექიმო, პური...

— პური?... ცოტაც მოთმინე და... აი თუ-თუნი, გააბოლდე, გულს გადააყოლებ.

მოგონებას მოგონება ცვლის. ვინ მოსთვლის, რამდენმა უსიამოვნო სურათმა გაუბრძინა თვალწინ. სახე წამოეთნო, ჰაერი აღარ ეყო, გული დაუმძიმდა, ფანჯარასთან მივიდა, მტკვარს გადახედა, თითქოს აბორეგებულ მდინარეს გააყოლა მწარე მოგონებებით — ოღნავე სიმშვიდე იგრძნო.

...სანიტარული ბატალიონი ვიბორგის მახლობლად წიწვნარის ტყეში გაშლილა... კარავში მძიმედ დაჭრილი შემოიყვანეს. დაჭრილს შტაბის მუშაკები შემოაკვირნენ.

— ვინ მოიყვანა დაჭრილი? — იკითხეს.

— კაპიტან კოხლოვის რაზმმა.

— გზაში ხომ არაფერი უთქვამს?

— არაფერი.

— სრულიად?

— სრულიად.

კარავში ჩურჩულმა გაიბრძინა: ეს პეტრე ვასილევია, შესანიშნავი მზევარაიო. შტაბის მუშაკები ლეღავენ. კვდება მზევარავი და დაზვერვის საიდუმლოება თან მიაქვს. ყველაფერი თახ მიაქვს. მძიმე მდგომარეობაშია მეომარი: კიდურების ძვლები დამსხვრევიან, უმძიმეს შოკშია, ოღნავე ფეთქავს, სისხლიან ტანსაცმელს აცლიან. ექიმს მაჯა უჭირავს, გაყვითლებულ სახეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. ნუთუ არ მოიხედავს? და შტაბის უფროსი, ვინ იცის, მერამდღედ ეკითხება სანიტარს:

— გზაში ხომ არაფერი უთქვამს?

— არაფერი, სრულიად არაფერი.

კვდება მამაცი მზევარავი. ცოდვაა მისი სიკვდილი და ექიმმა სწრაფად შეუმოწმა სისხლი. ბატალიონის მთავარი ქირურგი დარიკო

ცინცაძე უკანასკნელ სისხლს უსხამს ამბულებიდან. არც ამან დაუბრუნა სიცოცხლის ნიშანი. ექიმი ქალი თვალს არ აცილებს მომაკვდავის სახეს, მელსამბატის უფროსს ეუბნება:

— ბევრი სისხლია საჭირო. ამბულაში კი მეტი აღარა გვაქვს. მე უნივერსალური დონორი ვარ, გადაუსხით ჩემი სისხლი! — და მაჯას იხსნის. მელსამბატის უფროსი ბრესკინი მტკიცედ ამბობს: არა!

— დაილუპება დაჭრილი. გადაუსხით ჩემი სისხლი. გადავარჩენთ! — ხმას აუწია ქალმა.

— თქვენი სისხლი მრავალს სჭირდება. თქვენი მარჯვენა ბევრს გადაარჩენს. — მაშინ ქირურგმა ქალმა ლოყაფეროვან გოგონებს გადახედა.

— რომელს გაქვთ პირველი ჯგუფის სისხლი? — ორი კომკავშირელი გოგონა წინ წამოდგა. სისხლმა მკლავიდან მკლავში გადაინაცვლა. მომაკვდავის მდგომარეობა ოღნავე შეიცვალა, მაგრამ უმნიშვნელოდ. შტაბიდან კომისარი მობრბის.

— გადაარჩინეთ როგორმე! — ვინ იცის, მერამდღედ გაისმის. ექიმი ღელავს:

— სისხლის გადასხმა გადაარჩენს მხოლოდ. ვის გაქვთ კიდევ პირველი ჯგუფის სისხლი? — ხმას არავინ იღებს. მაშინ დარიკო ექიმი ისევ იხსნის მაჯაზე ხალათის ზონარს, მკლავს იშოშვლებს და უფროსს მიმართავს:

— კვდება ადამიანი. გადაუსხით ჩემი სისხლი!

დარიკოს სისხლმა მზევარავს მაჯა დაუბრუნა. გადარჩა ადამიანი!

— ცოტაც და მეტყველება დაუბრუნდება, — განაცხადა ექიმმა. მართლაც ენა ამოიღდა დაჭრილმა. ექიმებმა იგი მარტო დატოვეს შტაბის მუშაკებთან. გადარჩენილი მზევარავის მოტანილმა ამბავმა ათასობით მეომარი იხსნა ტყვეობისა და სიკვდილისაგან.

მეორე დღეს დარიკოს კომისარი ეწვია: შტაბის უფროსმა სალაში შემოვიტვალათ. იგი ფერდაკარგულ ქალს თვალეში შეჰყურებდა: სისხლის დაკარგვას ხომ არა ნანობსო. ქალი კი არას იმჩნევდა, დაჭრილს ეფერებოდა, თან ეხუმრებოდა: — ჩემი სისხლის მოზიარე ხარ, ახლა მე და შენ ძმობილები ვართო.

კომისარი ფარავის ჯიბიდან ორ ვაშლს იღებს, სავლელ ჩანთიდან შოკოლადის კვერს, დარიკოს აძლევს და ეუბნება: ჯერჯერობით ეს იმყოფინეთო. ქალს ეღიმება.

...უკან დარჩა დანგრეული ვიბორგი, ტერიოკი, რაივოლა. დივიზია წინ მიიწვეს. ტყეში ფრთხილად აშალეს კარავი. მიღწე-მოღწეილ ნაძვნარში გაიშალა სანიტარული ბატალიონი. ძნელია გზის გაკვლევა ნომარ ტყეში, ისიც სიბნელეში. საეჭვო ხმაურმა შეაჩერა მოწინავე. ბატალიონში ელვასავით გაიბრძინა: — გზის ხელმარჯვნივ, ერთიმეორის დაშორებით სამი ფინური ფიცრულია, იმ სახლში მტერი იმალებაო. ბატალიონი შეჩერდა. სამასი კაცი მუხლამდე თოვლში დგას. საბრძოლო საჭურველი ფარავს მიეყვინა. მღელვარებამ და სიცივემ იმატა.

— არავინ გაბედოს თოვლზე მიწოლა! — გაიცა განკარგულება. ჯერ ერთმანეთს ამხნვეებენ, შემდეგ ფერგონდაკარგულები პირს ვედარ ხსნიან, ერთმანეთს ეკვრიან. ბატალიონში ერთი ქალი მხნეობს, ცხვირს თოვლით ისრესავს: ტიალმა ყინვამ არ წამაცალსო. მერე ისიც მწარედ ჩაფიქრდა, ღელვამ აიტანა, ფლაგმანის მთავარ ქირურგს მოახსენა:

— წავალ, დავზევარავ, შევამოწმებ იმ სახლებს. — მაგრამ უარი მიიღო. ყინვამ 40 გრადუსამდე აიწია. მამაკაცებს კრიჭა შეეკრათ, ქალებში კენესანარევი ჩურჩული გაისმა. დარიკო კი ვერ ისვენებს:

— გამიშვით, დავზევარავ! — კვლავ იმეორებს თხოვნას. ისევ უარი სტიკცეს. მალე ყინვამ ენა ჩაუგდო ყველას და ჩურჩულიც შეწყდა. დარიკოს გულში ცეცხლი ანთია: „არც მე მიშვებენ და არც სხვას. დავილუპებით... გამთენიის ხანს გაიხსნება ცეცხლი და ჩვენ კი... სადა ვიქნებით“. მერე ისევ მხნეობა მოიკრიბა და აწვეული ტონით მიმართა უფროსს:

— ბატალიონი გაიყინება, დავილუპებით. გამიშვით დაზევარავ! — როგორც იყო თანხმობა მიიღო, გაყინული, დაკრუნხული თითებით ექიმმა ძლივს შემართა საყვარელი „ტემტე“ და ბატალიონს დასცილდა. მას შორიასლო ორი შამხანაიანი სანიტარი დაადგენს. უშიშარი ქალი წელში გამართული მიაბიჯებდა, შემდეგ კი თითქოს რაღაც მოვლანდაო — წაქცეულ ხეს ამოეფარა, კარგად დააკვირდა და გვერდი აუქცია.

ტყის ოღრომოდროზე მოხერხებულად მიძვრება. თვითონაც აღარ ახსოვს რამდენხანს იარა და იხოსა. ხელები დაეკაწრა, დაუსისლიანდა, მაგრამ არც ტკივილს გრძობს, არც სიცივეს და არც შიშს. რაც იქნება იქნება, გადაწყვიტა: ერთერთ სახლს უშიშრად მიუახლოვდა, მიწაზე გაწვა, ზიგზაგით მივიდა კართან, მერე წამოდგა, ჯერ ბიჭებს გადახედა, ახლოს თუ მოშორდნენ. „ტეტე“ მოიმარჯვა და გულდაგულ შეალო ეზოს კარი. ჭას წააწყდა, უცბად გურია გაახსენდა: ამ წყევულებსაც სცოდნიათ ჭაო.

— მომყვილი! — ჩუმად გადაულაპარაკა ბიჭებს და კატის ნაბიჯით აიპარა კიბეზე. თამამად შეალო დერეფნის კარი. შეჩერდა. ჩამოჩუმო არ ისმის, „იქნება, მტერი ხაფანჯს გვიგებს?“ გულმა არ გააჩერა. ერთი ნახტომით მიაწყდა კარს და შეალო. ჯიბის ბატარეით სწრაფად მიათვალ-მოათვალა ოთახი. არავინ ჩანდა. ოთახიდან ოთახებში შევარდა. ყველგან სიცარიელეა. მერე ეზო გადაიბინა, მეორე სახლში შევიდა. მეორედან მესამე ეზოს მიადგა, მაგრამ იქაც არავინაა. ჩაის ჭურჭლის ალაგებაც ვერ მოესწროთ, ისე გაქცეულიყვნენ. ჩამოჯდა და თავისებურად გადაიკისკისა: ესეც ჩვენი დაზვერვა! ისევ ნაძვანარში გაუჩინარდნენ. ფლაგმანის მთავარ ჭირურგს შორიდანვე მიაძახა დარიკომ:

— გზა გახსნილია, შეიძლება წინ წავიდეთ.

...1941 წლის სისხლიანი შემოდგომა იდგა შლისე მბურგში. მტერმა ქალაქი დაბოძა. ბრძანება გაიცა:

—სასწრაფო ევაკუაცია მოახდინეთ! დაჭრილები გადაიყვანეთ შერემეტევკაში. ნევის ნაპირებზე სამგზავრო ხომალდები და ნაგები იცდიან!—ევაკუაცია დარიკო ცინცაძემ დაეგეგმა. ინგრევა ჰოსპიტლის შენობა. დაჭრილები პანიკამ მოიცვა. ერთმანეთში აირია ტირილი, აფეთქების ხმა, ტყვიის ზუზუნი. დარიკო არ იზნევა, მარჯვედ ტრიალებს. ჯერ ჭალაში აფარებენ დაჭრილებს, იქიდან კი ნევის ნაპირზე გადააყვანენ. სამასი დაჭრილის ევაკუაცია ცეცხლის ქვეშ იოლი როდია. ის იყო თაბაშირში ჩასმული უკანასკნელი დაჭრილი ბურქებს შეაფარა დარიკომ, რომ ჰოსპიტლის შენობის ნახევარი ჩამოინგრა. ქალს გაახსენდა: ზევით, საოპერაციოში ძვირფასი ქირურგიული იარაღები რჩებოდა მტერს.

უკანასკნელი ძაღლინე მოიკრიბა და კიბეს ეცა.

— სად მიხვალთ, ექიმო!—აყვირდა საოპერაციო და, მაგრამ დარიკოს უკან არ მოუხდია. იგი მალე გამოიწვია საოპერაციო იარაღებით ხელში და ის იყო გაიფიქრა — სამშვიდობოს გავედით, რომ ყუმბარის აფეთქების ტალღამ გზის პირას ხრამში დამარხა. მაშინ მიიღო კონტუზია და აღარ ახსოვს შერემეტევკამდე როგორ მიაღწია. მალე იქაც გააფთრებული ბრძოლები დაიწყო. ჰოსპიტლის შემადგენლობამ ტყის ბილიკებით უკან დაიხია.

— ამხანაგო მაიორო, ჰოსპიტლის სეიფი თქვენ გებარებათ. სასწრაფოდ ლენინგრადისაკენ! — გადასცეს ბრძანება. დარიკო ცინცაძემ აქაც იმარჯვა. მამაცმა ქალმა მონახა სანიტარული მანქანა და ჰოსპიტლის ყოველგვარი საბუთებით სავსე სეიფი მძღოლის დანმარებით მანქანაში მოათავსა.

...მტერი კვალდაკვალ მისდევდა უკანდახეულებს, მისდევდა პატარა მანქანას, მაგრამ იგი მოხერხებულად აღწევდა თავს მდევარს, გაუჩინარდებოდა ნანგრევებში. ხშირად კარგავდნენ კვალს. ცეცხლის ქვეშ მიძვრებოდა მამაცი ქალი და უშიშრად მიჰქონდა საბრძოლო დავალებს. სწორედ მაშინ მოჰყვა ლენინგრადის ბლოკადაში.



ის ყველგან იყო — ხმელეთზე თუ ზღვაზე, ტყის კარავში, მოყინულ ნევაზე თუ ლადოგის ტბაზე. ყველგან საოპერაციო იარაღი ეჭირა ხელში, სიცოცხლეს უნარჩუნებდა დაჭრილებს, ამხნევედა, საბრძოლო მწყობრს უბრუნებდა.

...დამთავრდა ომი და კვლავ საქართველოს დაუბრუნდა დარიკო ცინცაძე, ფინეთის ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე. ქირურგმა ქალმა ერთხელ არჩეულ გზას არ უღალატა, პრაქტიკულად გამოიყენა სამარინის, კუპრია-ნოვის და კოლენიკოვის კლინიკებში მიღებუ-

ლი ცოდნა, სადისერტაციო თემაც ურწყინვალედ დაიცვა.

...გაფა-ფშაველას პროსექტს ერთი პატარა ოთახი გადააწყურებს, ოთახში მხოლოდ პუცის ლებელი ნივთებია: უბრალო ტუჩის-საწოლი, პატარა მაგიდა, ძველებური ტახტი და კარადა.

საწოლთან გაკრულ გობელენზე საბრძოლო ეპიზოდებია ამოქსოვილი. მაგიდაზე წიგნებია. იქვეა საველე ჩანთა და მხარქამარი (პორტუპეი). ჩანთაში საბუთები უწყვიია ომგადახდილ ქალს, პირადი საქმე, ჯილდოები, მედლები. ხშირად ათვალაიერებს ქალი საველე ჩანთას. გადახედავს თავის საბრძოლო ცხოვრების გზას და იტყვის:

— რამდენის გადატანა შესძლება ადამიანს!

უფრო ხშირად ლენინგრადის ბლოკადის დღეები აგონდება, ბალღივით ატირებული დაჭრილები რომ შესთხოვდნენ:

— ექიმო, პური, პური...

ექიმი მაშინ ხალათის ჯიბეში გადანახულ თუთუნს მიაწვდიდა, სიცილით და ხუმრობით გაუქარწყლებდა შიმშილის გრძნობას:

— აჰა, თამბაქო, გააბოლენ, გულს გადააყოლებ. სვალ ყველაფერი იქნება...

ქეთევან ხახუტაშვილი



„შენ გინდა ნახო ჩუკოტკა? ეს უგზო მხარეა, მდინარეებით დასერგილი. სამი მხრიდან ზღვა აკრავს, მუქი-ტყვიისფერი. თვითმფრინავი 23 საათს უნდება ფრენას ძირსდაუშვებლად. გადაწყვიტე და წაგიყვანო. მსგავსს ვერაფერს ნახავ. ჯერ ყველაფერი ერთფეროვნად მოგეჩვენება, მერ, თვალს რომ შეაჩვევ, საოცრებას აღმოაჩენ“.

ციმბირელ მფრინავთა კომკავშირის კონფერენციაზე „კომსომოლსკაია პრავდის“ საკუთარ კორესპონდენტს ია მესხს დიდხანს უყვებოდნენ მფრინავები ამ ზღაპრულ მხარეზე და მანაც მოსვენება დაკარგა.

ჩუკოტკა... თბილისის საშუალო სკოლაში იამ ისწავლა, რომ ეს ქვეყანა მდებარეობს უკიდურეს ჩრდილოეთში, 180 მერიდიანზე, რომ აქ არის აუტოცხელი ფერადი ლითონი, ოქრო, ქვანახშირი.

„დუგლასი“ აფრინდა ნოვოსიბირსკის აეროდრომიდან, გადაუფრინა ცისფერი ენისეის, ანგარას, ლენას. თვითმფრინავმა შეისვენა იაკუტსკში. დიდხანს დადიოდა ქალაქის ქუჩებში ია მესხი. შემდეგი შესვენება ვერხოიანსკის მახლობლად მოხდა.

იამ ის დამე ბარჯაზე გაატარა. უბრადა ძლიერი ქარი და ბარჯა ნაჭუჭივით ქანაობდა. ივანე სერკო, რომელიც საჭესთან იდგა, მთელი დამე ყვებოდა, როგორ იმოგზაურა ორასი წლის წინ ამ გზით იაკუტელმა კასაკმა. ქარი კი ძლიერდებოდა. უზარმაზარი ტალღები ხაზავდნენ წრეებს და ტურზე რჩებოდა მარილის მლაშე გემო.


ერთ ნაპირზე ხალხი ცხოვრობს, მეორე ნაპირზე თევზის საკონსერვო ქარხანაა. ჰაერი გაუღვინებელია თევზის სუნით და გამყინავად ყვირიან თოლიები. სკოლა, პედსასწავლებელი, მუზეუმი, კლუბი, დამაინები, მათთან შეხვედრა — ასეთი დაამახსოვრდა იას ანადრი.

დღეები დათვლილია. დრო ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ნახო მთელი ჩუკოტკა. ეს არის ევროპის ხუთი სახელმწიფოს ოდენა ტერიტორია, ეს არის მუქი-ყავისფერი ტუნდრა. არსად ბუჩქი და ხე. ნაპირებს ესეთებდა ციფე-ციფი ზღვა. ახლა კი შავ ზღვაზე სანაპირო მწვანედ იხედება და დაისი მწვამული ფერებს ფანტავს ტალღებზე. წყალი აგვისტოში შავ ზღვაზე თბილია და ისე არ იკბინება, როგორც აქ, სადაც აგვისტოში მოთოთვა სტუმარს საქართველოდან.

ია აკყვა მდინარე ანადირის დინებას და გაიარა 400 კილომეტრი. დღეები გადიოდა ისე, რომ ვერ ნახულობდა ვერცერთ დასახლებულ პუნქტს. იქ, სადაც ცხოვრობდნენ ადამიანები,

ანდროსოსს გაცნო ქართველი ჟურნალისტის საქმიანობა.

მამონ ისწავლა ანდროსოვმა სიტყვა თბილისი და საქართველო. ის ოჯახსაც გაიცნო — სერგეი, კოტე და ეფემია მესხების ოჯახი, რომლებიც იას წინაპრები იყვნენ. 1938 წელს, ჯერ კიდევ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ია აქვეყნებს კრიტიკულ წერილს გაზეთ „ვერნი ტბილისში“. შემდეგ ია ახალგაზრდულ გაზეთში მოღვაწეობს. 1939 წელს ია ქმართან ერთად მიდის ნოვოსიბირსკში, როგორც ჟურნალისტი. გაზეთ „ბოლშევიტსკაია სმენაში“ ის განაგებს მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას. მას ირჩევენ ნოვოსიბირსკის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ია სულ ახალგაზრდაა, გამხდარი, შავთვალა და ცნობისმოყვარე. შემდეგ ია კრასნოიარსკშია, ახალ მეგობრებს იძენს, ახალ ხალხს ხვდება. ახალ წერილებს წერს. სამამულო ომის მეორე წელია. ია შედის სამედიცინო დისკურსებზე და ფრონტზე წასასვლელად ემზადება. 1944 წელს ია ტოვებს ციმბირს და გშელონით ფრონტისაკენ მიემგზავრება. მას სპეციალური განკარგულებით მოსკოვის სადგურზე ტოვებენ და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ თანამშრომლად იწვევენ. ია ამ გაზეთის საკუთარ კო-



თვითმფრინავი აღმოსავლეთისაკენ მიდის. დამეა ნათელი, პოლარული. თბილისში ახლა თენდება. იღვიძებენ, ალბათ, იას მშობლებიც. ჩაო შეილი ნოვოსიბირსკში ეგულებათ ქმართან ერთად. ია კი მიფრინავს ბერინგის ზღვისაკენ. აი, გზის დასასრულიც. ტუნდრა, ტყვიისფერი ზღვა. ზღვიდან ნახევარიკილომეტრზე „დუგლასი“ ეშვება.

ეს არის პატარა სოფელი, ფიცრის მომცრო სახლებით. მათ სახურავებზე გასაშრობად გაფენილი თევზი ქარის დაბერვაზე ქანაობს. ნაპირზე მეთევზეთა ნაგები შრება. ადამიანები ზასულან სოფლიდან: ზღვის მონადირენი — ზღვაში, მეჯოგეები — ტუნდრაში. მხოლოდ თმაგაუკრეჭელი ბიჭებო დარბიან და ოჯახ იტყვენ.

ჩუკოტკის ცენტრი ანადირია. აქ თვითმფრინავითაც შეიძლება წასვლა. მაგრამ აეროპორტი დაიკეტა და დარჩა ერთადერთი გზა — ზღვა.

ია გადმოდიოდა ნაპირზე და რჩებოდა მათთან. ია გააკვირვა ამ ცივი მხარის მცხოვრებთა სითბომ. ეს ადამიანები საათობით უსმენდნენ „დიდი მიწოდან“ მოსულს. ხის სახლებში თუთუხებდა ჩაი, ია ასხამდა მაგარ ნაყენს და ახლა თვითონ უსმენდა ამ საოცარი კუთხის ზოცარ ადამიანებს. ჩუკოტკაზე ბევრი ნახა იამ ამ ქვეყნის პატრიოტი. იმ დღეებში ია ცხოვრობდა მათი ცხოვრებით.

სხვას რომ მოსთხოვო გითხრას თავისი, შენიც უნდა გაანდო, მითუმეტეს, ისეთ ადამიანს, როგორც ანდროსოვია. ეს ჭკვიანი კომკავშირელი მუშაკი პარტიის სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ორი საათის განმავლობაში ისე მიმზიდველად ლაპარაკობდა თავის ძნელ და შინაარსიან საქმიანობაზე, რომ არც არავინ დადლილა და არც არავის უფიქრია მისი შეჩერება. აქ ნახა პირველად იამ იგი. როცა იამ ანდროსოვს დღიურები გადაიკითხა, დარწმუნდა, რომ მის წინ ნამდვილად ნიჭიერი კაცი იყო. „იქნებ, როდისმე ჟურნალისტიც გახდესო“, — გაიფიქრა. ალბათ, ამიტომაც აინტერესებდა

რესპონდენტად ბრუნდება ნოვოსიბირსკში.

ია უყვება ანდროსოვს, რომ ის „კომსომოლსკაია პრავდის“ დაუკითხავად ჩამოვიდა ჩუკოტკაზე. ახლა ანდროსოვი უსიტყვოდ ხვდება, რომ იას არ შეუძლია დაინტერესდეს რითიმე და არ ნახოს, წერა უნდოდეს და არ წეროს. მის წინ ქალა, რომელსაც აცვია მიძიმე ფხსაცმელები და მაინც მსუბუქად დადის. ასე ივლის იგი სხვა გზებზეც, რადგან სხვაანაირად არ დაიწერება არათუ წერილი, არამედ სტრიქონი. ანდროსოვს უკვირს პატარა ქალში ამდენი ძალა.

ანდროსოვს კი მასზე ათასჯერ მეტი ძალა აქვს, — ფიქრობს ია და ფურცლავს დღიურებს. ეს რომ ასე არ იყოს, განა ბნელი, უკაცრიელი ტუნდრა დაუჯერებდა მას? ეს რომ ასე არ იყოს, განა ანდროსოვი დაამარცხებდა გამანადგურებელ ეპიდემიებს? ეს რომ ასე არ იყოს, განა ტუნდრელები წავიდოდნენ სასწავლებლად?

და ასეთები ბევრი იყვნენ: პირველი ჩუქჩი ლექტორი-კოსტა ვერეშაგინი, რომელიც ხალხში განათლების შესატანად თვეობით მოგზაურობდა ფეხით თუ მარხილით თოვლსა და უგზობაში; ინჟინერი ალბა, რომელმაც ამ გაუგალ და მიუდგომელ მხარეში გაიყვანა საპერო ტრასა. არ არსებობს აეროდრომების მშენებლობისათვის ჩუკოტკაზე უფრო ძნელი ადგილი; რადისტი ლენა ლობოვა, რომლის ფანჯრის

შემოქმედება. ია ცოცხალ ადამიანებზე, ცოცხალ მოვლენებზე წერს. ეს ადამიანები გაფანტულნი არიან და იაც გადადის ადგილიდან ადგილზე. პაპანაქება სიცხუა. ჰაერი გაჟღენთილია სინესტით. ია მიდის კოდორისპირა სოფელ აჟარში, სადაც სვანები ცხოვრობენ. ია ყოველთვის ეძებს იმ კუთხის წარსულს, სადაც აღმოჩნდება. აი კოდორი. ია ჯდება ქვაზე და თითქოს ესმის მშობიარის კივილი. ამ გზაზე გაიარა გორკი და შეესწრო ბავშვის დაბადებას. ის აქ

სვანეთი და მზისგულზე მიფიცხმული ქართლი, სომხეთის ღირსშესანიშნაობანი და ბაქოს ნავთის სარეწები. ია კარგად იცნობს ადამიანებს, მათთან ნებს, მათთან ჭამს, მათთან შრომობს ადამიანები მისი თვლიდან არ იკარგებიან. და შემდეგ, როცა მათზე ნარკვევს წერს, მის ნაწერებში ეს ადამიანები ქანდაკებებით დგებიან. გგონია, აი, ახვალ სვანეთში, შეგხვდება ცხენოსანი და იცნობ, წახვალ რუსთავში, ჩაგივლის ქალი და იცნობ.

იას პრობლემების გამოდევნება უყვარს. როცა კეთდება დიდო საქმე და ხედავს ამ საქმეს კალმითაც მიშველება უნდა, ია ეცნობა მას ძირფესვიანად და შემდეგ მკითხველს სთავაზობს.

ალაზნის ველზე სეტყვის თავიდან ასაცილებლად ღრუბლებში გამოსაცდელ ნაღმებს უშვებდნენ. გამოცდის პირველ დღეს იამ იმდენი შოახერხა, რომ ველზე აღმოჩნდა. ეშველება უხვმო-სავლიან კახეთის ველებს, სეტყვა არ გააფუჭებს რქაწითელას, მწვანეს, ქინძმარაულს. როგორ შეიძლება ამის შესახებ არ იცოდნენ ადამიანებმა. და ამიტომ დაიბადა ნარკვევი „გასროლა ღრუბლებში“.

იამ გატაცებების აყოლა იცის. აი, გაიტაცა ის ძველი რევოლუციონერის მიხეილ წერეთლის მიერ ციმბირში გატარებულმა წლებმა. მან ისა-დილა თბილისში მიზა წერეთლის ოჯახში, მეორე დღით კი ია მესხი და მიზა წერეთელი ირკუტსკის ქუჩებში აღმოჩნდნენ. დადიოდნენ ისინი „ციმბირული პაპის“ ნესტორ კალანდარიშვილის ნაკვალევზე, ესმოდათ შარავნაზე მომავალ პატიმართა ბორკილების ხმა. იამ ნოვოსიბირსკისაკენაც გაიწია, 17 წლის შემდეგ ჩახედა თვალბში მეგობარ ქალაქს და ვედარ იცნო.

— როგორ ცხოვრობ, მზიარულად? — შეეკითხა.

— მზიარულად, — მიიღო პასუხი.

შემდეგ ქალაქმა ჩასჭიდა სელი და ატარა თავისი ქუჩებით, აჩვენა ის, რასაც ია ვერასოდეს წარმოიდგენდა. ამის შემდეგ დაიწერა ორი შესანიშნავი ნარკვევი: „ნახტომი აღმოსავლეთისაკენ“ და „ციმბირის მზიარული თვალბით“.

ია მესხის ღონიერ ნარკვევებში იგრძნობა წერის ოსტატობა, სისადავე, სინათლე, სახეებით აზროვნების უნარი. კითხულობ მათ და უთუოდ ისიც გგონია, რომ მათი ავტორი ახალგაზრდაა. არადა, ოცდახუთი წლის წინათ დაიწყო წერა ია მესხმა. საქმე იმაშია, რომ ია ახალგაზრდულად განიცდის ყველაფერ ნახულს, ყვება ალტაცებით, ყვება ისე, რომ გჯერა — ის კიდევ ჩავა მულახში სვანური კოშკების სანახავად, გადაივლის ბიკალს, მოხვდება ჩუკოტკაზე.

იქნებ არ იცით, რომ სამუშაო ოთახში მაგიდაზე თავდახრილს, კედლიდან გადმოკურთხევენ თეთნულდი, ბერინგის ზღვა და ტაყიკეთის ველები, მაგრამ თუ მის ნაწერებს იცნობთ, ყოველთვის წარმოიდგენთ პატარა ქალს მძიმე ფეხსაცმელებით, საველე ჩანთით, მის წინ გაწოლილ გზას და ელთ, ამ გზიდან როდის დაგედვენებათ წერილები.

ლია პაპანაქე



წინ იერიშზე გადმოდის ზღვა და ხშირად ამოვარდნილი ქარიშხალი სამორიგეოდან კარში არ უშვებს.

...და ჩუკოტკაზე მოდის რადიოგრამა: „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქცია მოითხოვს, რომ ია მესხი დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ნოვოსიბირსკში.

ია იძულებულია შეწყვიტოს თვენახევრის მოგზაურობა.

ნახვამდის, სასწაულო მხარე! პირველი ჟურნალისტი ქალი შენს მიწაზე მადლობელია შენი მასპინძლობის. მან აქ თვენახევარში ისწავლა უფრო მეტი, ვიდრე შეიძლებოდა ესწავლა წლებების მანძილზე მხოლოდ წიგნებით. შენს შესახებ ადამიანები წაოკითხავენ წერილებში და ალბათ, ისინიც გესტუმრებიან. ნახვამდის, ნახვამდის!

უკან რჩება 180 მერიდიანი.

## გაჟილა ნლუკი

მხოლოდ დიდმა ინსტიტუტმა — დედობის ინსტიტუტმა გადაადებინა დროებით იას კალამი. დაიბადა ვაჟი, სიარული ისწავლა და უკვე შეიძლებოდა დედამისს განეხალხებინა მოგზაურობა. ია მესხი ჟურნალ „ოგონიოის“ კორესპონდენტია ამიერკავკასიაში. მან იცის, რომ ოჯახი ვერ წაართმევს იმ შინაგანს, რასაც ჰქვია წვა,

იყო, აქ, სადაც ახლა უზრუნველად ირხვეიან გვირილები, ყელყელაობენ და ცნობისმოყვარედ აცეცებენ თვალებს. ია თავისთვის იქმნის განწყობილებას, შემდეგ ეს განწყობილება ქალაქზე გადააქვს და მკითხველსაც უჭირს მისგან თავის დაღწევა.

აი, აჟარაც. აქ წელამდე წყალში ჩასულან მზემოკიდებული მამაკაცები და ხეს აცურებენ. ოსტატურად ხატავს ია ამ ადამიანებს, თითქოს უყურებ კინოკადრს ამ მხატვრის ნამუშევარს — წარმოიდგენ, როგორ იღუნება ათი კუნთებდაბერილი მკლავი.

სადაც კი ხვდება მდინარეები, ია ყოველთვის ამახვილებს მათზე ყურადღებას. ეს იმიტომ, რომ მდინარე დაუდგომელ ადამიანს აგონებს და ადამიანის ცხოვრების აზრს კი ამ მოძრაობაში ხედავს. ამიტომ დაუსვდა მტკვარს თურქეთის საზღვართან, გამოჰყვა მას სამხრეთ საქართველოდან, მასთან ერთად იარა ქართლით, შემოვიდა თბილისში, გაჰყვა აზერბაიჯანზე, კასპიის ზღვამდე და აჩვენა მისი სილამაზე, მისი ძლიერება, მისი სანაპიროები, იქ დასახლებული ადამიანები, მათი საქმე.

იას არ დაუტოვებია უნახავი ენგური, ყვირილა, ალაზანი, ხალიჩასავით მოჭარგული იმერეთი, ოქროსფერებში ჩამოჯდარი კახეთი, ამაყი

# საბურთალოს მუნიციპალიტეტის მკვლევარ-მეცნიერების განყოფილება



არცერთი რიგიანი ქალაქის წარმოდგენა არ შეიძლება ბაღების, სკვერების და გაზონების გარეშე. ყვავილები ამშვენებენ საცხოვრებელი სახლების ფანჯრებსა და აივნებს, სადღესასწაულო სუფრებსა და საიუბილეო საღამოებს, ქორწილებსა და დღეობებს.

ყვავილების დღესასწაული, რაც სულ რამდენიმე წელია ტარდება, წელიწადის უღამაზეს დღესასწაულად იქცა.

გამწვანების ტრესტის მრავალრიცხოვან კვლასათბურებსა და სანერგეებში ადამიანები სიყვარულით, საქმის ცოდნით და გატაცებით შრომობენ ყვავილების მოსამზენებლად და გასამრავლებლად. ამ საქმის სული და გული — მეყვავილე აგრონომები — უკეთილშობილესი პროფესიის ადამიანები არიან.



...

საბურთალოს დასაწყისში, იყალთოს ქუჩის შეფერდებაზე, დეკორაციული ხეებითა და ყვავილებით დამშვენებულ ბაღში ყოველთვის ნახავთ შუახნის სიმპატიურ ქალს. ეს ლეილა მირიანის ასული ბუკიაა. ადრეული გაზაფხულის ქარიან დღეებში გამოჩნდება ის და დაზამთრებამდე სულ აქ იტრიალებს. ბევრია საკუთარი საქმის გულშემატკივარი, მაგრამ სულ სხვაა ლეილა ბუკია. იგი განსახიერებელი ენთუზიაზმითა და ყველა სასწაული დიდსა თუ მცირე საქმეში ამით იწყება. აბა უსმინეთ მას, რა გატაცებით ჰყვება, რომ აქ, ხრიოკსა და უწყლო მინდორზე, 28 წლის წინათ თვითნასწავლმა აგრონომმა მირიან ბუკიამ წამოიწყო მანქანების ნებლობა პირადი ინიციატივით. სახსრები ცოტა იყო, გამოცდილება — უფრო ნაკლები, მაგრამ ენთუზიაზმი იყო საკმარისზე მეტი და მოხდა სასწაული: უწყლობით დამსკდარ და უნაყოფობით გავერანებულ მიწაზე იხარა კედარმა და ტუიამ, კვიპაროსმა და ელდარის ფიჭვმა, კაკალმა და თუთამ, ზეთისხილმა და თხელნაჭურჭა ნუშმა, სხვადასხვა ჯიშის ხეხილმა და ვაზმა. ტერასებზე მორცხვად და ნაზად განლაგდნენ სუმბული და ტიტა, ნარცისი და ხმალი, ვარდი და იორდასალამი.

ყველაფერი ეს მოხდა ლეილა ბუკიას თვალწინ, მისი მონაწილეობით და დახმარებით. მამინ იგი მამის ხელით დარგული ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო... სიცოცხლე სჩქეფდა მთელი გატაცებით და დედაქალაქის ხმაურიან ქუჩებს თანდათან ემატებოდა ლამაზად გაფორმებული საყვავილე მაღაზიები, მრავალდებოდა ამ ბაღიდან სასოფლო-სამეურნეო გამოყენებაზე წაღებული ექსპონატები და სანამყენედ არჩეული საკალმე კვირტები.

ყვავილებზე ზრუნვაში, სილამაზის ამ დაუსრულებელ ძიებაში გაეპარა ლეილას ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. იგი ახლაც ბაღის სასხლავი მაკრატლით ხელში, ჩვეული გატაცებით ტრიალებს აფერადებულ ტერასებს შორის. ყვავილებში უპირატესობას ის მაინც ვარდს ანიჭებს და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ვარდის ორმოცამდე ჯიშში არ გვხვდება ქართული წარმოშობის სახელი. გლორია დეი, ნარცისი, მირანდი, ტასინი, მაღამ ბატერფლაი, კონტრასტი, გრანატი... ამგვარ უცხოურ კეთილშობილებში რამდენიმე ქართული სახელი მაინც უნდა იყოს — ასეთია ქართველი მეყვავილის







ოცნება. შარშან ყვავილების გამოყენაზე საუკეთესო ვარდებისათვის ლეილა ბუკიამ პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. წელს კი უფრო მეტი და უკეთესი ვარდებისათვის ზრუნავს.

— როცა საქმე გიყვარს, მტკივნეულად განიცდი ყოველ დაბრკოლებას წარმატების გზაზე, — ამბობს ლეილა და წუხს, რომ ვარდის მყნობით გამრავლებას ჩვენში მასობრივი ხასიათი არ აქვს, გამოცდილი მებაღეების შრომის მეთოდებზე არ არსებობს კვალიფიციური ლიტერატურა.

\*\*\*

9 იანვრის ქუჩა № 15-ში, ქალაქის ყოფილ უძველეს ბაღში, მოთავსებულია ოქტომბრის რაიონის გამწვანების კანტორა. კანტორის უფროსი თამარ ვლადიმერის ასული კალანდაძე ჩივის, რომ სანერგე თავისი 4 სათბურით ძლიერ აკმაყოფილებს რაიონის გაზრდილ მოთხოვნილებას ყვავილებზე, მაგრამ მდგომარეობა უსაშველო არ არის: თბილისის ზღვასთან კანტორისათვის შენდება ახალი სანერგე. იგი გაცილებით დიდი იქნება ძველზე, და მაშინ ოქტომბრის რაიონის ბაღ-სკვერები, დაწესებულებები და მოსახლეობა უფრო სრულად მომარაგდება ყვავილებით. ახალ სანერგეში გამოიყვანება ბუჩქებიც. რამხელა სიხარულს იწვევს ეს მეყვავილე აგრონომში! ახალი გაფართოებული სანერგე დიდი სტიმულია მისთვის.

ჭერჭერობით კი თამარ კალანდაძე კანტორის ძველ შენობაში ზის, ძველი სანერგის პატარა სათბურებში ტრიალებს და მომავლის დიდ გემებს აწყობს: წელს 5 ათასი ხე და ბუჩქი უნდა ახარონ, უნდა შეავსონ რაიონის ქუჩების ნარგავობა, რაიონის ყველა ბაღ-სკვერი წესრიგში უნდა მოიყვანონ. წინ ყვავილების დღესასწაულია. ყველა წინა დღესასწაულზე მისი მუშაობა პირველი ხარისხის დიპლომებით აღი-

ნიშნა. ეს მარტო მისი შრომის აღიარება რღობოდა იყო. ამ ჯილდოებში თამარი ყველაზე მეტ წილს ყვავილების გამომყვან ქალებს ანიჭებს, ესენი არიან თამარ ბაქრაძე, ელისაბედ ლევა-ნიშვილი და ლენა მასარობლინი.

სანერგეებში სანიმუშო წესრიგია. აქ გამოძახავთ წითელი და თეთრი ვარდები, სხვადასხვა ჯიშის მხვიარები, ბევრი იმები, მიხაკები, ინგლისური გერანები, ხალიჩონები.

მოსახლეობაში გაიზარდა მოთხოვნილება ქოთნის კულტურებზე და რაიონის საყვავილე მა-

ლაზიები ახლა უკეთ მარაგდებიან ამ კულტურებით.

— ის, რაც გაკეთდა, ბევრი, მაგრამ საქმე რისი მაინც არ არის, — ერთგვარი შინაშუღიით აღნიშნავს თამარი და სჯერა, რომ სულ მალე ყვავილები იქნება ძალიან ბევრი, ისინი მეტი სილამაზითა და სურნელებით აავსებენ ცხოვრებას და მაშინ თითოეული ჩვენგანის მოთხოვნილებად გადაიქცევა: ყვავილები — შინ და გარეთ!

ნანული ჯორჯიანი

გიორგიანის აღმზრდელი სოფლად

# ჩაის კულტურა

ომის მძიმე დღეებში დომნა გაბრიჭიძის რგოლის წევრებს სიმინდისა და სხვა კულტურების მაღალი მოსავალი მოჰყავდათ.

შრომასა და მოლოდინში გავიდა წლები და 1945 წლის ბედნიერ გაზაფხულზე ბევრი გამარჯვებული ვაჟაკი დაუბრუნდა მშობლიურ კერას სოფელ მუხურაში (ტყიბულის რაიონი), მაგრამ არ დაბრუნდა დომნას მეუღლე.

ახალგაზრდა ქვრივი შრომამ და შვილებზე ზრუნვამ გააკაფა. მუხურის კოლმეურნეობაში 1949 წელს პირველად მოიტანეს ჩაის ნერგები და მოსავლელად დომნას რგოლს ჩააბარეს. ქალები მოვლას არ აკლებდნენ და კარგადაც გაიხარა ახალ ნიადაგზე ჩაიმ. ახლა მრავალ ჰექტარზეა გადაჭიმული მუხურის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები.

ჩაის კულტურა მუხურაში შედარებით ახალი საქმეა და ბევრმა აქაურმა მეჩაიემ ფოთლის კრეფა საქვეყნოდ სახელგანთქმული ქართველი მეჩაიეების გამოცდილებაზე ისწავლა. ისინი გაერთიანებული იყვნენ მოწინავეთა გამოცდილების სკოლაში. მართალია, დომნა გაბრიჭიძე ჩაის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 200-ზე მეტი პროცენტით ანადღებდა, მაინც ამ სკოლის აქტიური მსმენელი იყო. დომნა ახლა მრავალ ახალგაზრდა მეჩაიეს უზიარებს თავის გამოცდილებას.

კოლმეურნეები წელს მთავარ ყურადღებას პლანტაციებში სასუქის შეტანას აქცევენ. დომნამ და მისმა მეგობრებმა უკვე მრავალი ტონა სასუქით გაანოყიერეს ნიადაგი, სადაც ჩაის ბუჩქებია დარგული.

მადია რამიშვილი

# იმ კვირის ჯაისკანსები...

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა მოხსენება დაამთავრა სიტყვა ეთერ არაბულს მისცეს.

— პირობას ვიდრე წელს 1.300 ღორი გავასუქო, — დაასრულა თავისი გამოსვლა. ეთერმა.

37 ათასი სული ღორის გასუქება იკისრეს სიღნაღელმა მეღორეებმა ამ შეკრებაზე. აქედან 1.300 სულის გასუქება ეთერ არაბულის ვალდებულება იყო.

საღორე, სადაც ეთერი მუშაობს, დოღფარებადაა დაყოფილი. დოღფარებში ღორები ასაკის მიხედვითაა მოთავსებული. ერთერთ მათგანში გოჭები არიან. ისინი აქ იზრდებიან და მერე სხვა განყოფილებაში გადადიან. იქაც იმატებენ, ისევ იცვლიან განყოფილებას და ბოლოს სასუქ განყოფილებაში ხვდებიან. აქედან გასული ღორი უკვე 80 კილოგრამს იწონის.

განყოფილებებს ღობე აქვს შემოვლებული. ღორები წყალსა და საკვებს ნებისმიერად იღებენ ავ-


ტოსაკვებურებიდან და ავტოსარწყულებიდან. მერე კი წვებიან ნახევრად გადახურულ საღორეში, სადაც მიღებით შემოსული წყალი რეცხავს და ასუფთავებს საღორეს.

მესამე წელია, რაც ეთერი წითელწყაროს მკვიდრი გახდა. ადრე ხევსურეთში ცხოვრობდა. უყვარდა მყინვარი, თერგი და მთებზე დაკიდული გზები. მაგრამ მაინც დასტოვა იქაურობა და დედასთან ერთად ბარად ჩამოვიდა.

ერთი წლის შემდეგ ფერმაში დაიწყო მუშაობა. ეთერი ყოველდღიურად ანგარიშობს რამდენი საკვები დაიხარჯა ერთი კილოგრამი ნამატის მიხედვით, რომ განსაზღვროს საკვების ანაზღაურება. თუ ბურვაკების ცოცხალი წონა არასაკმაოდ დიდდება, ცალკე ჯგუფად ყოფს მათ. არკვევს წონაში ჩამორჩენის მიზეზს, იღებს საჭირო ზომებს.

ეთერი იმ არმიის ერთერთი ჯარისკაცია, ვინც ენერგიულად იბრძვის მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

მადია ცოტაძე





მ ო ტ ი ხ რ ო ბ ა

მხატვარი ლ. ზ ა რ ა ფ ი შ ვ ი ლ ი

მაგოლიის შეყვითლებულ ტოტებს შორის ზღვა ჩანდა. ზღვა მღვრიე იყო და პირქუში. მთელი თვის მანძილზე არცერთი ნაღი არ გამოჩენილა პორიზონტზე. შუქურის მაღალ კოშკზე ბარომეტრი ექვს ბალს უჩვენებდა. დამლაშობით ქარი გუგუნებდა. ქარი მთებიდან ქროდა და დოლივით უბრაზუნებდა საწვიმარ მილს. როცა წვიმა შეწყდა, ზღვა უფრო გადიარია, ჯებირი გაგლიჯა, ნავსადგომიდან ბეტონებში დატანებული აკაციის მორები წაიღო. ბარჯა, რომელზეც მე ვმუშაობდი, ანაპაში იდგა. სამმართველოში მითხრეს, დედელეზე ველით მის დაბრუნებასო. ნაღობი ფეხი, რომლის გამო ბარჯის ჩამოვრჩი, უკვე აღარ მტკიოდა, და ხანდახან, როცა სანაპიროს გადახურულ კორტებზე არავინ ჩანდა, ცირასთან ერთად ჩოგბურთს ვთამაშობდი.

კვირა იყო. ქარი ჩადგა და მე ბარჯის დასახვედრად წავედი. ზღვა ოდნავ დღელავდა. მაგრამ ტალღებს ეტყობოდა ჩქარა დაცხრებოდნენ. ჯერ ნავსადგურის ბუფეტში ვსვამდი ლუდს, მერე მეთევზეებმა ნაკვერჩხლებზე შემწვარ კვებაზე დამიწვიეს, და როცა კაფედან გამოვედი, ჩვენს ბარჯასაც მოგვარი თვალი. ხანგრძლივი წვიმებისა და დელვისაგან ჟანგი მოსდებოდა, კირო შეჭეჭყოდა და მილიდან შავზე შავ კვამლს ისროდა. სამაგრ ტივტივებთან ძლივს მობრუნდა, ერთხანს ითუხტუნა, იდავა და მერე, როგორც იქნა, ჩაუშვა ღუზა. კაიუტიდან გაზინთული, თმააწვეწვილი ბოცმანი გამოვიდა. დამონახა, ხელი დამიქნია და მკითხა, როგორ ხარო.

მშვენიერი ამინდი იდგა. ნავსადგურის სამმართველომ, სადაც ჩვენი გემი იყო მიწერილი, ბარჯის მთელ ეკიპაჟს ორი დღის შევებულება მისცა. მათ დაბრუნებამდე მარტო უნდა ვყოფილიყავი ამოდენა გემზე. კუბრიგში ძველი ტანსაცმელი მოგვებნე. საქმე თითქმის არაფერი მქონდა. ტრიუმიდან წყლის ამოქაჩვას რომ მოვრჩებოდი, ბანზე დაყრილი ნახშირი სანაქანო განყოფილებაში უნდა ჩამეზიდა.

ბოცმანის კაიუტისაკენ გავეშურე. იქ გრილოდა. მეამა. სასომალოდ წიგნი ავიღე და მსხვილი ასოებით ჩავწერე: „სუთი სექტემბერი. ბარჯა ნავსადგურში დგას. ქრის სამხრეთ დასავლეთის თბილი ქარი. ზღვის დელვა ერთ ბალს აღწევს“.

ამ საქმესაც რომ მოვრჩი, ავლიდინდი. ვლიდინებდი და თან სანაპიროსკენ ვიცქირებოდი. ცისფერი რესტორანი, რომელიც სარკმლიდან ჩანდა, მთელი კორპუსით შემოჭრილიყო ზღვაში. მის გვერდით პატარა ნავეში და კატარღები ლაპლაპებდნენ. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ აქ, ამ უზარმაზარ გემზე, საბუდამოდ უნდა დაფრენილიყავი. თითქოს ასიოდე ნაბიჯზე სხვა ქვეყანა იყო, ჩემთვის ძალზე ნაცნობი და თან უცხო ქვეყანა. ამ აზრმა შემეკრთო. და უცებ მივხვდი, რომ ამაოდ ველოდი ასე ბარჯის დაბრუნებას; რომ ხვალ შუადღემდე, სწორედ მაშინ, როცა ჩემი შემცველი დამიძახებდა ნაპირიდან, — მთელი მარადიულობა გაივლიდა.

რას იზამს ცირა ამაღამ? შეიძლება იგი კონცერტზე წაჰყვას თავის კარის მეზობლებს — ხნიერ ცოლ-ქმარს, რომელთა ვაჟიშვილი შორეული ნაოსნობის კაპიტანია. ცოლ-ქმარს ძალზე უყვართ სიმფონიური მუსიკა. ისინი მაჭაგარიანის მოსასმენად წავიდოდნენ. ერთხანს ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ გამოეწყობოდა ცირა თავის მოლისფერ კაბაში, რომელსაც მკერდის ღრმა ჭრილი მქონდა, და რომელიც საუცხოო შეკერილი იყო. მერე პირობა დავდე, ასეთ რამეებზე აღარ მეფიქრა და სტვენა დაიწყო.

როცა დიდი ხანია აღარ ყოფილხარ გემზე და ნაპირიდან დაბრუნებულს, პირდაპირ ვახტზე ვიკრავენ თავს, ამაზე უმძიმესი სასჯელი არაფერია. დადიხარ ამოდენა გემზე მარტო, მკვრივლანჩიანი ფესხაცმელები კაკუნობენ რკინის ზიდურზე და ათასო სისულელე გიფათურებს თავში. მწე-გადახრილზე სანაპირო ერთბაშად გამოცოცხლდა. მე გამახსენდა, რომ საჭმელი არაფერი მქონდა და ნაგით ნაპირზე გავედი. რესტორნის ბუფეტში ძეხვი, ორი ბოთლი ლუდი და ცხელი თონის პური ვიყიდე. გარეთ გამოვედი, ნავის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. ინსტრუქციით ეს სასტიკად გვექონდა აკრძალული. ნიჩბები მოვიმარჯვე და როცა თოკის ასახსნელად გადავიხარე, ჩვენი უფროსი მექანიკოსი ბესო დავინახე. იგი ჩაფიქრებული მიემართებოდა ქვევზე გადებული ძელოსაკენ.

— მოიცა, — დაიძახა მან და ნავეში ჩახტა, — ამაღამ შენ მორიგებობ?

მე არ მომწონდა ეს გულჩახხრბილი და ჯმუხი მამაკაცი. მას ჩემს ზევით ეძინა, ქანდარაზე. ტანად დიდი იყო და ფეხები მუდამ გარეთ ქონდა გარჩხული.

— ცოლი ექსკურსიაზე წასულა, — მითხრა გაბრაზებულმა, — ეს ქალები გადაგრევენ. მთელი თვე ასე მოუთმენლად ველოდი შინ დაბრუნებას, ის კი ექსკურსიაზე. გასაღებიც არ დაუტოვებია, ტფუ! — იგი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე. საყვლო გაელედა და ბანჯგვლიანი მკერდი უჩანდა, — ვფიქრობდი, ოჯახში მივალ, დავისვენებ, ტანზე გამოვიცვლი, მარა გაგივინა? ეს ღამეც ამ გობზე უნდა ვიყურავტო.

ჩვენ ხმაურით ავედით რკინის კიბეზე. ტრიუმოდან ტაბურეტი ამოვარბენინე, ზედ რესტორნიდან წამოდებული ხორაგი დაგაწყვე. ბესომ ლუდი მოწრუპა, ენა გააწკაპუნა და ნასიამოვნებმა შემომხვდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, მოიწყინა.

ბანზე დაწყობილ ძელებზე გავიშხლართე და თავქვეშ შემოვიწყვე ხელები.

ერთხანს სიჩუმეა. ბოლოს მესმის, ბესო დგება და მძიმედ მოემართება ჩემსკენ.

- გინდა ნაპირზე დაბრუნდე?
- ნაპირზე?
- ჰო. მაინც აქ არა ვარ? შეგიძლია დამშვიდებული იყო, ბარჯაზე ყველაფერი რიგზე იქნება.
- მე არ შემიხედავს მისთვის. ფესხაცმელზე დავხვდე მხოლოდ. ფესხაცმელი სარკესავით გაეპრიალებინა.
- რასან სიკეთეს შევბი, — ძლივს ამოვღებე, ასეთი მოულოდნელი ყურადღებით დაბნულმა, — რა თქმა უნდა, პატივისცემას პატივისცემით გადაგიხდი.

- კარგი ერთი!
- არ კადრულობ?
- ევ რამ გაფიქრებინა. კაცის პატივისცემა თუ გინდა, წინასწარ ნუ შეპირდები, ოქნებ დაგაიწყვდეს, პირს შეირცხვენ.

— აბა, ვნახოთ! — გავიღიმე მე. კუბრიგში ჩავიბრინე პიჯაკისათვის. ბესომ ნაპირზე გადამიყვანა. როცა ნაგით უკან ბრუნდებოდა, ნაპირისკენ ზურგშექცევილი იჯდა, ნიჩბებს უსვამდა. იყოღა, ვუყურებდი, მაგრამ ერთხელაც არ მობრუნებულა. ფოსტამდე ავტობუსით მივედი. იქიდან არც თუ ისე შორს იყო ცირას

სახლი. არ ვიცოდი დამხვდებოდა თუ არა ცირა შინ, მაგრამ მაინც გავეშურე მისკენ. ერთხანს ჭიშკართან ვიდექი. გალავნის იქით წაბლები შრიალებდნენ და ეზოს სიღრმეში ქვედა საართულზე ნათურა ციმციმებდა.

\* \* \*

ქალაქგარეთ, სილიანი ბორცვების ახლო, მერხერი ტყე იყო. იქ გზა ვიწროვდებოდა, პატარა რუს ჰკვეთდა და სიმიანის ყანებისაკენ მივილაკებოდა. ჩემად ვიჯექით, ქარი ქროდა და ვუსმენდით ქარის შუხილს. ჩვენს ზევით, ფოთლებს შორის, ცა ჩანდა. ჭრიჭინობლები აყრუებდნენ მიდამოს. ცირას ხელი ჩემს ხელზე იდო. ქარი მღეროდა. იმ წუთს მამაკაცი ვიყავი, მაღალი, ძლიერი მამაკაცი. და კიდევ, გაგიფაქრე, რომ ადამიანები მაშინ არიან ლამაზები, როცა უყვართ.

მოსორებით ზღვა შხუოდან. ცირამ ღრმად ამოისუნთქა. ჩვენს უკან, სილიან ბორცვთან, სიცილი გაისმა. მერე სანაპიროზე თავსაფრინი ქალი და მაღალი მამაკაცი გამოჩნდა. ისინი ქვასე დასხდნენ. ქალმა ჩემსკენ გამოიხედა და მე გავუშედი. ცირამ შემატყო, თავი ასწია.

— რა მოხდა?  
— არაფერი, — ვთქვი მე.  
— იცნობ იმ ქალს? ვინაა?

მე ვთქვი, რომ თავსაფრინი ქალი ჩვენი მექანიკოსის — ბესოს ცოლია. ბესო ამაღამაც არ წავიდა შინ. მისი ცოლი კი ვიღაც მამაკაცთან იჯდა აქ, სანაპიროზე, ქალაქგარეთ. იჯდა ღამით, როცა ამოდენა მთვარე დაგვეყურებდა და ზღვა შხუოდა. მე მოვეუყვი ცირას, რა კარგი ქმარი ჰყავდა იმ თავსაფრინ ქალს.

ცირამ მუსღებზე დაიკრიფა ხელები, მერე ამოიხრა.  
— ბავშვი არა ჰყავთ?  
— კმ, რათ უნდა, ბავშვი. თავს უვლის, ვერა ხედავ, რა ტანი აქვს?!

ცირამ შემერთალო თვალები მომაპყრო.  
— ნუ ამბობ ასე, — თქვა მან, — რა საჭიროა?  
— ვერ ვიტან ასეთებს!  
— ნუ ბრახობ. შენ არ გიხდება, როცა ბრახობ.  
— მოდი, წავიდეთ აქედან.  
— ჰო, — დამეთანხმა ცირა, — წავიდეთ. არც მე შემიძლია ვუსმინო მის სიცილს.

ჩვენს ფეხქვეშ ქვიშა ხრამუნობდა. როცა ახლოს ჩავუარეთ, ქალი შეგრთა. ქალმა მიცნო და შეგრთა. უცებ შეწყვიტა სიცილი, თავი მომარიადა.

\* \* \*

შუალამე გადასული იყო, როცა ბარჯაზე დავბრუნდი, ბესო ჩემად იჯდა, ლოგინის კუთხეში მოკუნტულიყო. ნაღვლიანი სახით მომაჩერდა.  
— შეხვდი? — მკითხა ცოტახნის შემდეგ.  
— არა, — ვიცრუე. მეგონა, ტკივილს მივაყენებდი და ვიცრუე. ცივად გაიღმა, მერე დილაამდე წრიალებდა, ოხრავდა.

\* \* \*

ერთ დილას ბოცმანი ატყდა, მოდი, სათევზაოდ წავიდეთ. თავბატივი არავის გაუდგია. ნავი ჩაუშვით და ჰორიზონტისაკენ დავიძარით. კომპასი არ გვქონდა. მზეგადახრიალამდე არაფერი დაგვიჭერია. ხელმოცარულებს არ გვიინდოდა დაბრუნება. და უფრო შორს წავიდით. ნისლიანი დღე იყო. მზე მკრთალად ანათებდა. ნისლიან დარში სარგანმა იცოდა სათამაშოდ გამოსვლა. ჩვენც ამიტომ გამოვედით სანადიროდ, თორემ ვინ გვსჯიდა. მრავალჯერ ჩავყარეთ ანკვებები, მაგრამ არ იქნა და ვერ წავაწყდით ჯოგს. ბოლოს მზეც გაქრა და მარტოდ-მარტო დავრჩით უსასრულო, მღუმარე უდაბნოში. ოთხნი ვიყავით. ბოცმანს სახე მოედრებოდა, და ვიგრძენი რაღაც კარგი არ გვჭირდა. დინება ხშირად იცვლიდა მიმართულებას. ნავის ფსკერი სულ ერთავად მოფარულიყო მერლანებით. აქა-იქ ქორტილა და ქამბალა ერია. ნიჩბებთან მე და ლექსო ვიჯექით. სუსხავდა და ვჭქარობდით. რამდენხანს ვიარეთ ასე, არ მახსოვს, მერე ბოცმანმა შუბლზე მიირტყა ხელი და გადააფურთხა; დავინავსეთო. ამის მეტი სიტყვა არ დასცდენია. ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით. ქარი მატულობდა. მერე დაბნელდა. საშინელი ღამე გველოდა. ქარიშხალი ექვს ბაღს აღწევდა. სიღრმე რამდენიმეჯერ გავსინჯეთ და ლოტი ყველგან ერთსადა-

იმავს — ოცდახუთ საუენს უჩვენებდა. ლექსომ თქვა: „თუ ბარჯაზე დილაამდე არ დავბრუნდით, ძებნას დაგვიწყებენ“. ბესო, რომელიც ყველაზე ძლიერი იყო ჩვენს შორის, გაქვავებული იჯდა, დანა პირს არ უხსნიდა. საჭმელი თითქმის არაფერი გვქონდა: თონის პური და დაკეპილი, სტრკას ათიოდე ღვეზელი. ამას ერთი ჩარქვა წყალი და ორი მითლი ლუდი დამატა, რომელიც ბოცმანს „ყოველმეზობევისათვის“ შეწონდა. ცაღანა ხული. არავინ იცოდა, საით მივესურავით. ნავს საშინლად არყევდა. როცა ცა გაგალდა და აღმოსავლეთს მოსინათლება დაეტყო, სული მოვითქვით. ზღვა გუგუნებდა. ნავი ხან ერთ ტალღას მოექცეოდა ფაფარზე, ხან მეორეს.

— ბედი უნდა ყველაფერს, — თქვა ბესომ, — დღეს უქმეა, ჭყინტ სიმიანს იყიდდა ქალი. საპერას მოხარშავდა. თუ ღმერთმა გვიწყალონა, უნდა გადავჩნეთ.

— ეი, შენ, — მომიბრუნდა უცებ ბოცმანი, — აბა, მივეუქვი ნიჩბებს. მერცხლების გუნდმა გადაგვიჭროლა. ხედავ? მერცხლების გუნდია. თვალეზი სადა გაქვს. აი, იქით იყურე. აგრე! ჩვენ არ მივესურავთ სწორად. მოაბრუნე. ნაპირი ჩვენს უკანაა. მერცხლები ნაპირიდან მოფრინავენ.

— ჩვენ იმდენი გავიარეთ, ჩქარა მეორე ნაპირს მივადგებით, ალბათ, — თქვა ლექსომ.

— გვეც მოსალოდნელია. მოაბრუნე-მეთქი! წუხელ ბედზე გადავრჩით. ამაღამ უარესი გველის.

ბესო გვაყურებდა, რაზე ვლაპარაკობდით. ჩიბუსი უკანასკნელად თუთუნით გატენა. გააბოლა. მეც მიწოდდა მოწვევა. ბესომ გამომიწოდა და რამდენიმე ნაფაზი დაეღურტყი. თუთუნი მაგარი იყო, თავი გამიბრჭო. მერე სასიამოვნო ტალღად ჩაეფინა მკერდში. ვუყურებდი ბესოს და მეცოდებოდა. თავიდანვე ცუდად აუწყო მისი ცხოვრება. ფიცვი იყო, ნაესადგურში, საბოცმანო კატარაზე მუშაობდა წინათ. რომელიღაც მთვრალი მეზღაური შემოელახა. არ შეარჩინეს. ექვსი თვის იძულებითი სამუშაო მიუსაჯეს. მას მერე შერჩა ჩვენს სატვირთო კარჭაბს. ცოლი ჯერ მოლარედ მუშაობდა ქალაქის კინოთეატრში, მერე საღამოს ინსტიტუტი დამთავრა და საფეიქრო ფაბრიკაში სამღებრო სამჭრო ჩააბარეს. აქედან აირია ბესოს ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, ასე ერჩვენებოდა მას. „დიდი ქალია, ხალხში ტრიალებსო“, — იტყოდა ხოლმე. ვგრძნობდი, რა იმალებოდა ამ სიტყვებს მიღმა. მეცოდებოდა. ცოლი ახალგაზრდა ყავდა, ღამაზნი.

როცა ქარი ჩადგა, მერცხლების კიდევ რამდენიმე გუნდი შემოგვხვდა. ისინი არეულად მოფრინავდნენ. მთელი ცა დაეფარათ. ბესომ კარგა ხანს უყურა მათ, მერე ამოიხრა. ბურუსი ჩამოწვა. მერცხლების უკანასკნელმა ქარავანმაც ჩაგვიჭროლა და ყველაფერი მიწყანარდა. ნავში ფისის, მარილისა და კიდევ რაღაც სიმყრალის სუნი ტრიალებდა.

— შემოდგომა დადგა, — თქვა ბესომ. — ხილი ღუის. ყურძენი დასაწურია, შენ კი მიცურავ უგზოუკვლოდ, არ იცი საით. — თვალეზი ცივი, შორეული სევდა გამოკრთოდა. მასაც ეშინოდა უკვე, ეშინოდა, რომ ვეღარ დავბრუნდებოდით, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს. შებინდებისას წამით გამოანათა მზემ. მერე ყვითელი ლაქა ღრუბელს მიეფარა და აცივდა. ჯერ ნავის ცხვირი ღვებრილა წვიმამ, მერე წყლის ზედაპირზეც ათამაშდა, აცეკვდა, აწყაპუნდა. ბრუნეტის ხემეშ მოსასხამში გახვეულს, მეჩვენებოდა, ზღვა დიდდებოდა, თანდათან დიდდებოდა და იმუქრებოდა.

ქარი ზუზუნებდა. ლექსო ხერხინავდა.  
— გაახილე, ბიჭო, თვალი, — შეუღრინა ბოცმანმა, — ქვეყანა იზგრევა. მიუქვი ნიჩბებს!  
— ღამით საშინელება დატრიალდება, გული მიგრძნობს.

— შენ და შენი გულიც, — თქვა ბოცმანმა, — რა ნახე ჯერ შენ? არაფერი. ოცდაჩვიდმეტში შენი პროტოპლაზმაც არ იქნებოდა, მე კი ოცდღეს უგზოუკვლოდ დამათრევდა ძირგახრეტილი შხუნა. ბედზე გადავრჩი. ეს კი რაა. ეს ნავი ქარიშხალისთვისაა შედგამოჭრილი. ყოველნაირ დღევას გაუძლებს.

კარგახანს მივესურავდით ჩემად. მერე ბოცმანმა მხარზე დამადო ხელი, შემანახარია.

— იცი, — მითხრა საიდუმლოდ. — მე ძალზე მეშინია შენი. ნავი ექვს ბაღზე მეტს ვერ გაუძლებს. ისიც ბედმა თუ მოგვხვდა. ჰოდა, ტვიტვიას შენ აიღებ.

— მე რატომ?  
 — შენ ახალგაზრდა ხარ, ჯერ რა გინახავს, ჩვენ ვყოფილვართ თუ არ ვყოფილვართ, ამით არაფერი დაშავდება.  
 — რა სისულელეა! — გაგებრაზდი. — არა გრცხვენიათ? მე ხომ ვიცი, რომ ტყუილად ამბობთ ამას? განა თქვენ ჩემზე მეტი უფლება არა გაქვთ აიღოთ ტივტივა?  
 ბოცმანი სადაც შორს იყურებოდა.  
 — მე გავუძლებ.  
 — ლექსოც ასე ამბობს.  
 — მაშინ ბესოს დაუთმოთ. რაც არ უნდა იყოს, ცოლიანია, ცოდოა.  
 — თვითონ შესთავაზეთ.  
 ბოცმანმა ჯიბეებო მოიქექა. თუთუნი რახანია გათავებოდა. ლმობიერი თვალებით შემომხედა.  
 — იქნებ პაპიროსი გაქვს, ა?  
 — სიგარეტი.  
 — სიგარეტი იყოს.  
 მერე დაიხარა, ტივტივა ძელკასამის ქვემოდან გამოაძრო და ბესოს ფეხებისაკენ გადააჩოჩა.  
 ბესო შეიშმუნა.  
 — გინდა რამე?  
 — წყალი.  
 — აჰა, შენ წყალი! — და მათარა გაუწოდა.  
 ბესომ ტივტივას დახედა.  
 — ეს რაღაა?  
 — აიღე.  
 — ვერ ავიღებ.  
 — აიღე მეთქი!

— ეგ სულაც არაა სამართლიანი. რატომ დასკვენით, რომ მე მჭირდება ყველაზე უფრო? განა ასეთი უძღური ვარ?! ეს ვირიც ამ აზრისაა? — მიუთითა ლექსოზე, — ჰოო? ვერ ავიღებ.

ჯერ კიდევ ვერ გავრკვეულიყავო, რომ სიკვილი-სიციცხლის ამბავი წყდებოდა. ეს ყველაფერი გულკეთილობიანად მომეჩვენა. და სხვათაშორის ვთქვი, წილი ვუყაროთ მეთქი. რა თქმა უნდა, ვიხუმრე. მათ კი სერიოზულად მიიღეს. ლექსომ გააზმორა, მერე ზანტად ამოდერდა:  
 — რა გახდა ეს ტივტივა, ა? გავათათო მაგაზე ლაპარაკი. უყარე წილი!

უბის ჯიბიდან წიგნაკი ამოვიღე და სუფთა ფურცლები ამოვიხე. ერთ მათგანს ჯვარი გავუკეთე, ოთხივე ერთნაირად გავკვეცი და ავყარე. ერთი, რომელიც ჰაერშივე გაიშალა, ბესომ აიღო. მან გამიღიმა:  
 — აი, ხომ გითხარით, სრულიად უსამართლოდ მომაკუთვნეთ მეთქი. ტივტივა თქვენს შორისაა.  
 არც გამიშლია, ზღვაში გადავადე ფურცელი. ბოცმანმა შემხედა, თითონაც გადააგდო.

— მე თქვენზე ნაკლები ვარ თუ?! — იწყინა ლექსომ და მანაც გადააგდო, მე ვიცოდი, რასაც ფიქრობდა ორივე. მათ ჩემსავით უნდოდათ ბესოს რგებოდა მაშველი რგოლი.  
 ბესო შებრუნდა. კარგახანს იყო ასე. მერე მომიჩორდა. ცრემლები უბრწყინავდა თვალებში. მან დატყუანული ფურცელი გამომიწოდა. ფურცელზე უზარმაზარი უშნო ჯვარი ჩანდა.

— ნუ იფიქრებთ ასე, — თქვა მან, — ტივტივას მაინც არ ავიღებ. დღე გაილია. დაღამდა. ზღვა შხუდა. წვიმდა. მაგრამ ქარიშხალი არ გამძაფრებულა. ალიონზე ჰორიზონტი განათდა. შვებით ამოვისუნთქეთ, როცა სანაპიროს ლურჯი ზოლი გამოჩნდა დილის მჩატე ნისლში გახვეული. ბესომ თუნუქის ცარიელი კოლოფი ამოიღო და მთელი ძალით დაცხო ნიჩაბს.

• • •

კაფეში ვიჯექით. აქედან კარგად ჩანდა მთელი ნაპირი. უზარმაზარი თეთრი გემი ნელა შემოდიოდა ბოლანში, ჩვენ ნაყინს შევექცეოდით. ბუფეტის იქით, შუშაბანდში ვიღაც მამაკაცი ფორტეპიანოს უკრავდა. ცირას თავი დაეხარა, ფიქრებს წაეღო, უცებ მობრუნდა, დიდი, ნათელი თვალები შემომანათა.  
 — გესმის, — მითხრა ჩუმად, — გესმის, რას უკრავს? ბრამსია?



— არა, ეს რაველია, — ვუთხარი მე.  
 — ჰო, — გაიღიმა ცოტახნის მერე, — ფრანგები ამბობენ რაველი ბეთჰოვენზე დიდიანო. — სკამის ზურგს მიეყრდნო. იგი უცდიდა როდის ალაგებდა მომტანი ცარიელ თეფშებს. მერე შემომხედა, — რა კარგია იქდე ასე და უსმენდე რაველს. ღმერთო ჩემო, რა კარგია!  
 კაფეში ოროდე მამაკაცი ჩანდა. ისინი კუთხეში მოკალათებულიყვნენ და სხამალა საუბრობდნენ. მზის ნაეური შუქი დათამამობდა მაგიდის კიდეზე. მზეს ყვითლად აელვარებინა სეთა წვეროკინები. მაგრამ ცირა სულაც არ ფიქრობდა უკანასკნელი შუქით აელვარებულ სეთა კენწვროებზე, იგი მუსიკას უსმენდა. ბოლოს მუსიკა მიწყდა. ცირამ ამოისუნთქა.  
 — იცი, მე ცოტათი კიდეც ვამაყობ შენით.  
 — მართლა?  
 — ჰო. მე ეს მიხარია, რომ დაბრუნდი და ხარ ასეთი ძლიერი. შენ ფიქრობდი ჩემზე?  
 — ცოტას, სულ ცოტას.  
 მან გაიღიმა და ტურზე ამაფარა თითი.

• • •

საქეიმო კომისიის გავლის შემდეგ, ბოცმანმა გამოვიცხადა: გამოთენიას ტუაფსეში გავდივართ, ცემენტი უნდა ჩამოვიტანოთ.  
 — ჰოდა, ძალიანაც კარგი, — ჩაიღიმილა ბესომ, — დღეს ჩემი ცოლის დაბადების დღეა. წაქეიფებას მოვასწრებთ.  
 ეს აზრი ყველას მოუწონა, არავის უთქვამს უარი, მართლმე არ მიწოდდა წახვლა. მაგრამ მაინც შეგვიპირდა.  
 ბესოს გაეხარდა.  
 — მამ გიცდითო, — და წავიდა.  
 შვოდ საათზე უკვე ბესოსთან ვიყავით. უამრავი საჩუქრები ვიყიდეთ, ამაზე ლექსო საშინლად ილანძღებოდა: „სამართალია ასეთ ქალთან ხელდამშვენებული მივიღოდეო?“ სიგარეტს სიგარეტზე ქაჩავდა.  
 ბესოს მშვენიერი ბინა ჰქონდა. შესასვლელში რადიოლა უკრავდა. ბოცმანმა ღრმად შეისუნთქა ჰაერი, მერე კმაყოფილებით გადმოგვხედა:



— ბედნიერად გვწყალობს, იცოდეთ — უგემრიელესი ნამცხვრები გველის!  
ბესოს ცოლი ჯერ გაფითრდა, მერე სახე აუჭარბლდა, არ გველოდა.  
წინასწარზე სველი ხელები შეიმშრალა და უხალისოდ მოგვესალმა.

— გაიცანი, — უთხრა ბესომ, — ერთად ვმუშაობთ.  
— სასიამოვნოა, — თქვა ქალმა. ვცდილობდი მისი მზერა დამეჭირა,  
მინდოდა კარგად დავენახე. ერთი ნაკვიცი არ შეტოკებია. მივხვდი, ცდი-  
ლობდა არ შევემჩნეო.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმრებმა მოიყარეს თავი.  
ბოცმანი რომელიღაც ძალზე მსუქანი ქალის გვერდით დაჯდა. ქალი  
თვალეზში შესცივინებდა ბოცმანს და იცინოდა. ლექსომ კარგა მოზრდი-  
ლი ნამცხვარი დაითრია, უხმოდ მიირთმევდა. მე ვიჯექი მოწყენილი. ბრა-  
ზი მომდიოდა, როცა ბესო ასეთი სიყვარულით ადევნებდა თვალს ცოლის  
ყოველ მოძრაობას და კიდევ იმიტომ, რომ ბესოს მაგრად უყვარდა იგი,  
ქალი კი ამის ღირსი არ იყო. ახლა კიდევ ვნანობდი, რომ წამოვედი.

უცებ მივხვდი — მეძახდნენ. ბესოს ცოლმა ნამცხვრებით სახე თუფში  
გამომიწოდა და გამიღიმა:

- მიირთვით. რატომ ზიხართ ასე მოწყენილი?
- ეგ სულაც არაა მოწყენილი, — თქვა ბესომ, — ჩვეულება აქვს  
ასეთი, დაჯდება და ფიქრობს.
- დიასახლისმა წარბები მოწკურა. იგი მართლაც ლამაზი იყო. როცა სა-  
ცეკვაო მუსიკა დაუკრეს, შემომხედდა:
- თქვენ ცეკვავეთ?
- არა მეთქი, — ვუთხარი.
- გინდათ, გასწყალოთ?
- არ ღირს, — ვთქვი უხალისოდ. მან გაიცინა.
- რას ფიქრობთ?
- ერთი მწერლის მოთხრობა გამახსენდა.

— მოთხრობა? ოჰო, ეს საინტერესო უნდა იყოს. მიამბობთ? — ახლოს  
მომოჩნდა. ბესომ სტუმრები აიყოლია და სიმღერა წამოიწყო. ჭერი  
გუგუნებდა. მე ჭიქა გამოვცალე, გავთამამდი. მე ვუთხარი, რომ მოთხრო-  
ბა საინტერესოა, ძალიან საინტერესოა, რადგან ერთი ოჯახის ამბავია აღ-  
წერილი. მან დამასწრო: ცოლ-ქმარს უყვართ ერთმანეთი. მერე ერთერთს  
გული გაუცივდა?

- სწორედ აგრეა. თქვენც იცით ეგ მოთხრობა?
- წარმოიდგინეთ არა
- ქმარი გემზე მუშაობს.
- გემზე? — სცადა უდარდელი გამომეტყველება მიეღო, გაიცინა. —  
რატომ მაინცდამაინც გემზე?

მე უკვე ვიცოდი რას ფიქრობდა იგი, წამითაც არ მაცლებდა დამცინავ  
მზერას და მივხვდი, ორთაბრძოლაში გამომიწვია. მან იცოდა, რასაც მო-  
უყვებოდი და მოემზადა.

- ეს ხომ მწერლის ნებაა, — ვუთხარი მე და ისევ გადავკარი.
- აჰ, ასე? — კიდევ უფრო გაეშალა სახეზე დამცინავი ღიმილი.
- სწორედ, — ვცადე დამეცინა. მაგრამ ნაძალადევი გამომივიდა. იმ  
წუთს ცივ თვალეზს ვხედავდი. ამ თვალეზის მიღმა რაღაც მკრთალი, შო-  
რეული სევდა ციმციმებდა. მე მოვეყვი იდეალური მეუღლის ამბავი. მე  
თითონაც მივიკრიდა, რად ვაკეთებდი ამას, და რაც უფრო ლამაზად, რაც  
უფრო მიმზიდველად ვყვებოდი წმინდა სიყვარულსა და ოჯახზე, იგი სი-  
ცილს უმატებდა.

- მერე? — მკითხა უცებ, — მერე?
- ქალს ძალზე უყვარდა ბავშვები. ქალი ოცნებობდა ბავშვებზე, მაგ-  
რამ არ გაუმართლდა. ალბათ, ასეთი იყო ბედი. ქმარი ხშირად მთელი  
თვეებით ცურავდა. ქმარი ნამდვილი მამაკაცი იყო და ერთხელაც არ  
დაეჭებულა ქალში:

- რას მელაპარაკებთ! — მითხრა ცივად.
- აბა, — განვგარტე მშვიდად. — მაგრამ მწერალი დესპოტია, ვერ წარ-  
მოიდგენთ, რა დესპოტია! ქალმა ინსტიტუტი დაამთავრა, ხალხში გაერია,  
ქვეყანა დაინახა. და სწორედ აქ ჩნდება ახალი გმირი, რომელიც ქალს  
ცოტათი მოსწონს. ეს გმირი აიძულებს სხვა თვალით შეხედოს ქმარს. ბო-  
ლოსდაბოლოს ვინაა ქმარი, უბრალო მეზღვაური, რომელსაც არ უყვარს  
მოდარზე ჩაცმა და მუდამ დადლილია.

ბესოს ცოლმა გადაიკისკისა.  
— ოჰ, როგორ გამაცინეთ. ეგ ამბავი ხომ ძალზე ძველია, ძველი და  
ნაცნობი, მე გეტყვით ფინალს — ოჯახი დაირღვა.

თვითონაც არ ვიცი, საიდან გამჩნა ჩემში ამდენი მრისხანება. იმ წუთს  
მზად ვიყავი მომეკლა ეს ქალი. თვალი გავესწორე. შეერთა მხრები აუ-  
ტოდ, ტუჩები დაებერა.

— ცდებით! — ვუთხარი ჩუმად, რადგან მინდოდა ახლო მოწყულებული,  
— მერედა სიყვარული? მერედა ის წლები, რომლებიც ერთად გაუტარე-  
ბიათ? და კიდევ, ქალი განა მიაღწევდა ამდენს, ქმარს რომ ხელი არ  
შეეწყო? ვერ მიაღწევდა. აი, ამიტომ არ დარდევულა ოჯახი.

ბესოს ცოლი ჩაკვდა. თავი არ აუწევია. თრთოდა. ხალათის ღილს  
აწვალებდა. წამოდგა. სამზარეულოში გავიდა. იქ კარგახანს დაჰყო. როცა  
მაგიდაზე სიმღერა შეწყდა, დაბრუნდა. ამჯერად ახლოსაც არ გამკარებია.  
არც შემოუხედავს. თვალს ვერ მისწორებდა. მე ფანჯარასთან მივედი, ქუ-  
ჩაში გადავიხედე.

- ისევ ფიქრობთ? — მომესმა უკანდან. არ შემოვბრუნებულვარ. მივხ-  
ვდი, ვინც იყო.
- ჩემს გვერდით იდგა. მისი მკერდი ჩემს მკლავს ეხებოდა. მძიმედ სუნთ-  
ქავდა.

- რამდენი წლისა ხართ? — მკითხა უცებ.
- ოცდაოთხის.
- რა ბედნიერი ხართ, — გაიღიმა მან. — ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერი ხართ. თქვენ ხომ ყველაფერი წინა გაქვთ?

მას დაუძახეს, იგი მაგიდასთან დაბრუნდა. ისევ სარკმელთან ვიდექი.  
პორტის ვეება გუმბათს ვუყურებდი. მძიმე ტვირთი, რომელიც აქამდე მაწვა  
მკერდზე, ჩამოშორდა და გავიღიმე, რადგან ვიყავი ოცდაოთხი წლის და  
გარეთ ასე წვიმდა.




ჩვენი ბარჯა დილით გადიოდა და ახლა, შუალამისას, როცა მთვრალი  
ვიყავი, მე ძალიან მინდოდა ცირას ნახვა. მე მინდოდა მხოლოდ ერთხელ  
მომეკრა მისთვის თვალი. ეს დამამშვიდებდა. მეუფეზეთა ქუჩა გავიარე.  
პორტისკენ წავიდე. ქარი ქროდა. ცირას ეზოს ქვის მაღალი გალავანი  
ერთკა. ჭიშკარის ჭუჭურუტანაში შევიხედე. ეზოს სიღრმეში დაბალი, ორ-  
სართულიანი სახლი იდგა. ფანჯარაში შუქი ენთო. ცოტახნის შემდეგ  
ქვედა სართული ფორტეპიანო დაუკრა ვიღაცამ. ხელები მეტკინა იმდენი  
ვაჯახუნე ჭიშკარი, იქნებ საგდული ავარდეს-მეთქი. ამაოდ ჩემს ზევით  
ნათელი ცა ჩანდა. და როცა წვეთები ასე მოულოდნელად ჩნდებოდნენ და  
ხმაურით აცვიოდნენ ხეებს, საშინლად მინდოდა ცირას ნახვა. ფორტე-  
პიანო კი გუგუნებდა. მელოდია უერთდებოდა წვიმის ხმას, ფოთლებთან  
ერთად შრიალებდა და სადღაც მიჰქროდა. შეიძლება ეს იყო დიდების  
ჰიმნი, ან შორეული, მზის ელვარებით გაჟღერებული ჰავლი. ქვავი შეე-  
დექი და გალავანს გადავევლე. ბაღში მოვხვდი. ცირას არასოდეს უთქ-  
ვამს, რომელ ოთახში ეძინა. ამას სინათლით მივხვდი. პატარა ოთახი  
ქონდა, იქვე იდგა პიანინო და წიგნების კარადა. ცირა ტახტზე იჯდა, იგი  
დასაძინებლად ემზადებოდა. უცებ წამოდგა. ტანგახდილი ოდნავ გამუდ-  
არი და უფრო ლამაზი ჩანდა. ერთხანს სარკესთან იდგა, თმას ისწორებდა.  
რაღაც თბილი, ახლობელი გრძობა მოსვლავდა მკერდში. მე ახლა ცირას  
სახეს ვხედავდი მხოლოდ. დავაკაუნებ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ასე  
უკეთესი იყო. მე ბედნიერი ვიყავი, რადგან ცირას ვხედავდი. ბოლოს  
ცირა დაწვა და სინათლე გამორთო. „ღამე მშვიდობის-მეთქი“ — ვთქვი  
ჩუმად, ვთქვი ჩემთვის და უკან გადმოვბობდი. მე არ მინდოდა შინ  
წასვლა. მე გავიარე ვიწრო შესახვევი, გავიარე მეუფეზეთა უბანი და როცა  
კაფეს წინ აღმოვჩნდი, მხოლოდ ახლა შევინხე, შარვალი რამდენიმე ად-  
გილას გახეული მქონდა.

კაფედან მუსიკის ხმა ისმოდა. მე ძალიან მინდოდა დამეღია ფინჯანი  
ყავა, არც ბორჯომზე ვიტყვოდი უარს. მაგრამ ასე, აბა, სად გამოვჩნდ-  
ბოდი.

ისევ კარჭაბიკენ წავალასლადი. თავი მიბრუოდა. წვიმა შეწყდა. სახ-  
ლებს ძილი და სიჩუმე დაუფლებოდა. ჩემს წინ რომელიღაც მამაკაცი მი-  
დიოდა, ჯოხს მიაკაკუნებდა და მიდიოდა. როცა გავესწარი, მივიხედე.  
მივხვდი მამაკაცი ბრმა იყო. იგი წამით შედგა, დააყურადა ჩემს ფეხს-  
ხმას და გამომყვა. ამჯერად უფრო თამამად მოაბიჯებდა და დამეულ ქუ-  
ჩაში მარტო ჯოხის კაკუნის ისმოდა. იგი მომენდო.

მე ვუყურებდი ცას და მეჩვენებოდა, ცა თანდათან ნათლებოდა.



# ჩანაწერი კერძოში

...

პირველი, ვისაც ვხვდებით საწარმოში, წითელი თიხის კერამიკული საამქროს უფროსი იზა ცერიაშვილია. მასთან ერთად ვათვალიერებთ საამქროს და ვეცნობით თიხაზე მომუშავე ოსტატებს.

— თიხის მასის მისაღებად ბურთულებიან წისქვილში იფქვება წითელი თიხა, რომელსაც პლასტიკურობის შესამცირებლად გამოიწვარ, დაფქვილ თიხასვე ვუმატებთ, ვათხვევადებთ, შემდეგ ვწურავთ საცერში და ფილტრწუნებში გადაგვაქვს; აქ იგი წყლისაგან თავისუფლდება. მიღებული მასა აქედან ვაკუმ-წუნებში ხვდება გადასაწულად და პაერის გამოსადგენად. შემდეგ ცომისებური თიხა საჩამომსხმელო განყოფილებაში გადადის, — გზადაგზა გვიხსნის იზა ცერიაშვილი.

თაბაშირის ფორმებითაა სახვე საჩამომსხმელო ოთახი.

ოთახში თეთრხალათიანი გოგონები ფუსფუსებენ.

— ეს როზა თომაძეა, ჩვენი საამქროს ერთ-ერთი მოწინავე ჩამომსხმელი, — გვაცნობს პირველსავე ქალიშვილს საამქროს უფროსი, — საშუალო სკოლიდან მოვიდა აქ, დაოსტატდა და ასლა უკვე თვით ჰყავს მოსწავლეები.

მუყაითი და ხელმარჯვე როზა ერთი წელია, რაც კომუნისტური შრომის დამკვირვლის სახელს ატარებს და საწარმოო დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

არც გულსუნდა გიორგიბიანი, ეთერ ბედიანაშვილი და ნაწული ლებანიძე ჩამორჩებიან როზას. ისინი სკოლაში სწავლის დროს გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას ამ საამქროში და სკოლის

ხისა და თიხისგან უმზადებიან ძველად ჩვენს წინაპრებს ტურტლუკი. გვარიდან გვარს გადასცემია მათი მუშაობის საიდუმლოება. და მაშინდელი ნახელავი ასლა მუწუემებს ამშვენებს. მათ კარგად შემოუნასავეთ ქართული ეროვნული ტურტლის შნო და ლაზათი.

ერთხანს მივიწყებული იყო ქართველთა ეს უძველესი ხელოვნება, მაგრამ ამ ათიოდე წლის წინ კვლავ დაინტერესდნენ მხატვარი-კერამიკოსები ამ მდიდარი განძის შესწავლით და მათ საფუძველზე ასალი, მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმის შექმნით.

უკანასკნელ წლებში მხატვრულ კერამიკაზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ აუცილებელი გახადა თბილისის საშენ მასალათა კომბინატში კერამიკული საამქროების შექმნა, ხოლო კერამიკულ კომბინატში სამხატვრო კერამიკული საამქროს გაფართოება.

...

ოცდახუთი წლის წინათ თბილისის განაპირას, საბურთალოზე აგურის ქარხნისათვის ჩაუყრიათ საძირკველი.

მაშინ თურმე აქ თავდებოდა დასასლებული თბილისი. აგურის ქარხნის იქით ორიოდე სახლი ყოფილა წამოსკუპებული, დანარჩენი ადგილი კი მთებით გარშემორტყმულ „საბურთაო“ ველს სჭერია.

თბილისის სწრაფად შენებასთან ერთად სრული დატვირთვით ამუშავდა საბურთალოს აგურის ქარხანაც. დღედაღამ ბრიალებდა ალი გამოსაწვავ ღუმელებში, დედაქალაქში კი სართული ემატებოდა სართულს.

რამდენიმე წლის წინ, ყოფილ აგურის ქარხნის ბაზაზე საშენ მასალათა კომბინატი შეიქმნა, სადაც კერამიკულ ნაწარმს ფაიფურისა და წითელი თიხისაგან ამზადებენ.

დამთავრების შემდეგ ხელობასდაუფლებულები ისევ აქ მოვიდნენ.

მოტიკურების განყოფილებაში ზოგიერთი სახის ნაწარმს მთლიანად ატიკურებენ, ზოგს კი მხოლოდ ამოკაწრულ ნაწილებს უტყებენ ტიკურით, რის შემდეგაც ნაწარმს ელექტროლუმებში და ცილინდრულ ღუმელებში ტვირთავენ მეორედი გამოწვისათვის. აქვე გამოწვასთან ერთად ხდება შებოღვა-აღდგენაც.

საათივით აქვთ საქმე აწყობილი წითელი თიხის საამქროს მუშებს. თუმცა ორი წლის წინანდელიც კარგად ახსოვთ. ახალ საამქროში ვერა და ვერ ააწყვეს საქმე. გეგმის შესრულება ოცნებად ექცათ. ყველას აწუხებდა საამქროს ასეთი მდგომარეობა და აი, იზა ცერიაშვილი ჩაუყენეს საათვეში საამქროს.

მაღე დაეტყო საამქროს გამოცდილი და მონდომებული ხელმძღვანელის ხელი. გეგმის შესრულებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მოჰყვა.



მეგობარი იანგინა



მადლიენა ბაიდაშვილი

შებოლილი პროდუქციის დამზადება ასალი წამოწყება იყო და ხელით წმენდა ბევრ დროს ართმევდა მუშას. იზას წინადადებით მექანიზებული მუშნავი ფუნჯი დანერგეს, რითაც შრომის წარმადობასთან ერთად წმენდის ხარისხიც ამაღლდა. იზასივე წინადადებით პარაფინის ნაცვლად შავი ფერის მომპირკეთებელი სანთლით დაიწყეს პროდუქციის გაპრიალება, რამაც მეტი ბრწყინვალება შემატა ნაწარმს.

როცა მოლონიერდნენ და საქმეც თავისი რიგით წავიდა, მუშებმა კომუნისტური შრომის საამქროს სახელისათვის ბრძოლა დაიწყეს. დაძაბული ბრძოლა ამ საპატიო სახელისათვის ერთი წელი გაგრძელდა. და აი, გასულ წელს საოქტომბრო დღესასწაულთან ერთად გამარჯვების ზეიმიც ჰქონდა წითელი თიხის კერამიკული საამქროს კოლექტივს. იგი კომუნისტური შრომის სახელთან ერთად გარდამავალი წითელი დროშის მფლობელიც გახდა.

კომბინატში წითელი თიხისაგან დამზადე-

ბულ, მხატვრულად სრულყოფილ ნაწარმთან ერთად გვხვდება უგემოვნოდ გაფორმებული კერამიკაც. სწორედ ამ ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შეიქმნა ახლახან სამხატვრო საბჭოსთან ახალი კომისია, რომელმაც თავისი მუშაობის მთავარ პრინციპად აუცილებლად სადა და ლამაზი კერამიკული ნაწარმის დანერგვა უნდა გაიხადოს.

\* \* \*

მეორე საწარმო, სადაც კერამიკულ ნაწარმს ამზადებენ, თბილისის კერამიკული კომბინატია.

პირველად 1960 წელს გააკეთა განაცხადი კომბინატმა კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოსაპოვებლად. მაშინ მისი ორი საამქრო — საჩამომსხმელო და მასის დამამზადებელი — უკვე ატარებდა ამ საპატიო სახელს.

მასის დამამზადებელი საამქრო წარმოების ღერძად ითვლება.

— როგორ ნელგულსაც მიაწვდი, ისეთივე იქნება მზა პროდუქცია, — გვეუბნება საამქროს უფროსი ქეთევან ვაშაკიძე, — ჩვენც ყველა ღონეს ვხმარობთ პირველხარისხოვანი მასის დასამზადებლად. ახლახანს მინდვრის შპატი იაფი და ხელსაყრელი პერლიტით შეცვალეთ, რამაც ჩვენ მასის ხარისხი გავეუმჯობესა, კომბინატს კი დიდი ეკონომია მისცა.

თბილისის კერამიკული კომბინატი ძირითადად სანიტარული ნაწარმის გამოშვებაზე მუშა-

ობავენ თავიანთ შეცდომას. ახალმა მეთოდმა სამჯერ გაზარდა პროდუქციის რაოდენობა. დამზადებული ნაწარმის გამკვირვებული ქალა ახლა გამოშრობასაც კარგად უძლებს და მაღალხარისხოვანიცაა.

ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული კერამიკული კომბინატის სამხატვრო სამქროში. მხატვარ-კერამიკოსებს — მადლენა ბაიდაშვილს და ევეგენია ხაჩიძეს ფართო ასპირეზი აქვთ დათმობილი ახალი კერამიკული ნაწარმის შესაქმნელად.

ქველი ჭურჭლეულის მიხედვით ახლების შექმნისას დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებამ, ჩანაფიქრის მხატვრულმა სიცხადემ, პლასტიკურობამ და დინამიკურობამ განაპირობა მადლენა ბაიდაშვილის ნამუშევრების დიდი წარმატება.

დახვეწილი სტილითა და თვითმყოფადი მხატვრული ფერადოვნებით გამოირჩევა მადლენა ბაიდაშვილის საკონფეტე, დეკორატიული ლარნაკი და საფერფლეები. სამწუსაროდ, ამას ვერ ვიტყვით სამწანაგოვან ლარნაკზე, რომლის მასიური მოცულობა და ყელის ფორმა სინაზეს უკარგავს ლარნაკს.

მხატვარ ევეგენია ხაჩიძის მრავალი ვარიანტით შექმნილი ღვინის სხვადასხვანაირი სასმისები, დოქები, საყვავილე ლარნაკები და საფერფლეები მაღალი გემოვნებით არის შესრულებული. განსაკუთრებით მიმზიდველია ჭინჭილები და კათხები, რომლებშიც დაცულია ქართული ეროვნული სტილი და ელფერი.

მხატვარ-კერამიკოსთა ფანტაზიის ფაიფურში გაცოცხლება საჩამომსხმელო საამქროში ხდება, სადაც წარმატებით მუშაობს ელისო ხიმშიაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა. სამი წელია, რაც ელისო ამ ბრიგადას ხელმძღვანელობს და წარმატებას წარმატებაზე აღწევს.

გულისხმიერებისა და კარგი შრომისათვის ელისო რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს თანამოსაქმეებმა, რამაც უფრო გაზარდა მისი პასუხისმგებლობა საერთო საქმისა და ამხანაგების წინაშე.



კომბინატის სამხატვრო გამოფენა ნათლად წარმოგვიდგენს სამხატვრო საამქროს მთელ საქმიანობას.

საამქროს დაარსების პირველ ხანებში გამოშვებული უღიმღამო პროდუქციის (ლიქიორის სასმელი დოქი „თევზი“ თავისი ჭიქებით, მყვირალა ფერებით აჭრელებული საფერფლეები) გვერდით გამოფენილი უკანასკნელ წლებში შექმნილი ნაწარმი მხატვარ-კერამიკოსების გაზრდილ გემოვნებაზე და შემოქმედებით დაოსტატებაზე მეტყველებს.

1963 წლის 19 ივლისი კერამიკული კომბინატის ისტორიაში ყველაზე დიდწინშენლოვან თარიღად დარჩება. ამ დღეს საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით კომბინატს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელი მიენიჭა.

ეს კი ცოტას როდი ავალებს ქართველ კერამიკოსებს. ისინი სიამაყით ატარებენ ამ საპატიო წოდებას და ცდილობენ კვლავ მოწინავეთა რიგებში იდგნენ.

თ. ჭურღოვანიძე



სამომსხმელო საამქრო

ობს. დიდი მოთხოვნებზეა აქ დამზადებულ პირსაბან მაგიდებზე, უნიტასებსა და მოსაპირკეთებელ ფილებზე. წარმოების მუშაკებს მაინც არ აკმაყოფილებთ ნაწარმის მხატვრული გაფორმება, გრძნობენ, რომ სინაზე და სილამაზე აკლია მათ. ამიტომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კერამიკულ საწარმოებში ისინი ეცნობიან მოწინავეთა გამოცდილებას.

ახლახან მათ კუბიშვილის კერამიკული ქარხნიდან გადმოიტანეს პირსაბანი მაგიდების ვერტიკალური ჩამოსხმის მეთოდი, რამაც ძლიერ გაუმჯობესა ჩამოსხმის ხარისხი.

დიდად ეხმარება ქართველ კერამიკოსებს თანამოსაქმეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საჩამომსხმელო საამქროს მუშები კარგაზნს მუშაობდნენ ერთი ახალი მეთოდის დანერგვაზე, მაგრამ ვერა და ვერ სრულყვეს დაწყებული საქმე. გადაწყვიტეს დახმარებისათვის საამქროს უფროს თინათინ მიქიაშვილთან ერთად სლაგუტის კერამიკულ ქარხანაში წასულიყვნენ, სადაც



# სიხარული

მხატვარი ნ. ნიკოლაძე

## ნ რ ვ ე ლ ა

პატარა, შვლის ნუკრივით გოგოა. მაღალი სახლის კიბეებზე მუხლების კანკალით აივლის, აივლის კი არა, აირბენს, სულ ფეხისცერებზე აირბენს.

ბოლო სართულზე ნაცრისფერ კართან შეჩერდება. კარი ღიაა, მაგრამ დაუკითხავად როგორ შევა?!

— შემოდი, ნუკრი! — იღიმება მაღალი ახალგაზრდა კაცი და გოგონა მის ღიმილს მიჰყვება.

ფართო, ნათელ ოთახს ვარდისფერი კედლები აქვს, განიერი ფანჯრებიდან სითბო და სინათლე უხვად შემოდის. კედლებზე თაროებია, ქანდაკებებით საგსე კუთხეში ხის მერხია, მერხის წინ მაღალი სკამი. სკამზე ჯდება ნუკრი და მთელი საათობით გაღიმებული იყურება ღია ფანჯარაში...

აბა, სცადეთ და დაჯექით მის ადგილზე, არ გაინძრეთ ერთი საათი, ორი, სამი... და სულ იცინეთ, იყურეთ ღია ფანჯარაში, უყურეთ მწვანე ტყეს, მაღალ, ლურჯ მთებს და იცინეთ...

მაგრამ, ასე უნდა მოქანდაკეს და ნუკრიც თავაწეული იღიმება, ღია ფანჯრიდან შემოსული ნიაფი წაბლისფერ თმას უწეწავს, ეალერსება.

მის წინ, მერხზე, თიხის გუნდა თანდათან მას ემსგავსება. გრძელი გამხდარი თითებით ზელავს, ათბობს და ერთმანეთს ამატებს თიხის ნამცეცხვს მოქანდაკე.

ცხვირის ნესტოები ებურცება თიხაში ნუკრის, მხრებზე დაცვენილ თმას ნიაფი ელოლიავება თითქოს, ტუჩებთან ხაზები უჩნდება და იღიმება თიხაში ნუკრი, სიხარული იღვიძებს თიხაში...

მართლაც უხარია ნუკრის, გული ვერ იტყვის დიდ გრძობას. ანთებული გაპყურებს მწვანე ტყეს, ნისლში შეცურებულ მთებს, მოქანდაკის თიხაში დასვრილ თითებს და უხარია გოგონას, რომ მოქანდაკის თითები ცივ თიხას ათბობენ, რომ მის ხალათს თიხის ლაქები აჩნია და კისკისებს ნუკრი...

თიხაშიც იცინის იგი, სადღაც მიიწევს, შეჭარბის დიდსა და მშვენირს.

ალბათ მწვანე ველს, ალბათ მაღალ მთებს! ასეა ყოველთვის.

გუშინაც ფეხისცერებზე აირბინა კიბეები, გული ძლივს აიტანა. არავინ შეფეთებია გზაზე, მაგრამ გულს მაინც ბაგა-ბუგი გააქონდა, ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა. კარი გამოღებული დახვდა, მაგრამ დაუკითხავად როგორ შევიდოდა?!

თითები ეტკინა კაკუნით. არავინ გამოხედა. ქვედა სართულში კარი გაიღო და დაფეთებული მიაწვდა ნაცნობ კარს გოგონა.

ქანდაკეები მოწყენილი იყურებოდნენ თაროებიდან. მწვანე ტყე და ლურჯი მთები ნისლს წაეშალა თითქოს.

მოქანდაკის ხალათი ეფინა სკამზე. აიღო, მიიხედ-მოიხედა, მერე სახე ჩარგო შიგ. ვაჟაკის მკერდის სურნელებამ გააბრუა.

ძნელი საპოვნელია ალბათ სიხარული. კარი გაიღო.

ნუკრიმ ხალათს ხელი უშვა, შემობრუნდა.

— მოხვედი? — გაისმა ნაცნობი ხმა. ღია ფანჯრიდან ნიაფმა დაუბერა, მწვანე ტყე შეირხა, ლურჯ მთებზე თოვლმა იელვა და ვარდისფერმა კედლებმა გაიცინა.

გაელიმა ნუკრის.

აბა, სცადეთ და ერთი საათი, ორი, სამი, დაჯექით ერთ ადგილზე და იცინეთ...

მაგრამ მოქანდაკის თითები თიხას ათბობენ, სულს უდგამენ თიხას და იღიმება ნუკრი. მის წინ, მერხზე „სიხარულს“ თიხის ნამცეცხვი ემატება, ცხვირის ნესტოებთან ხაზები უჩნდება, წარბები მაღლა ეწევა და შუბლზე ნათელი ეფინება.

დღესაც ამოათავა კიბის საფეხურები, დღესაც მიაწვდა ნაცრისფერ კარს, სული მოითქვა და თითებით შეეხო.

დააყურა. ფეხისხმა არ ისმოდა.

კიდევ დააკაკუნა.

— შემოდი! — მოისმა ყრუდ შიგნიდან.

დახილს შეჰყვა გოგონა. მოქანდაკე „სიხარულის“ წინ უდგას უმხატვროდ შეჰყურებდა.

ნუკრი სკამზე ჩამოჯდა და ღია ფანჯარაში მზის სხივები აციმციმდნენ.

— დღეს კიდევ და, „სიხარული“ დამთავრდება! — ჩაილაპარაკა მოქანდაკემ. ახლოს მივიდა გოგონასთან, ტუჩებთან დაადგა თვალი, მერე ცხვირის ნესტოებს ახედა, მზერა წარბებთან შეაჩერა.

— არ იღიმები?

გული ყელში მოებჯინა ნუკრის.

„სიხარული“ მთავრდება, რაღა საჭიროა ღიმილი? და ნუკრის ცრემლებით ავესო თვალები.

— რა დროს ტირილია, სიხარულს ცრემლი არ უნდა! — ხმამაღლა გაიცინა მოქანდაკემ, თიხის გუნდა ხელში შეათამაშა და „სიხარულის“ შუბლს დახვდა. მალე შემობრუნდა, სახეზე დააკვირდა გოგონას.

— რა გატირებს?!

გული შეუქანდა ნუკრის.

დღეს თვალებში პირველად ჩახვდა მოქანდაკემ, თვალები სარკე არაა, მაგრამ ტბაში რომ ჩაიხედო, სომ დაინახავ შენს სახეს. მაშ, მოქანდაკე როგორ ვერ დაინახავს ნუკრის თვალებში თავის თავს, გამხდარ თითებს და თიხით დასვრილ ხალათს?

თვალებში კი უნდა ჩახედოს, აუცილებლად უნდა ჩახედოს. მაშ როგორ! სიხარულს თვალები არ უნდა?...

მოქანდაკემ სწრაფად გადადგა ორი ნაბიჯი უკან, მერე ერთი ნახტომით მივიდა „სიხარულთან“ და მარჯვენა ხელის ცერით თიხის ნამცეცხვი მიაწვდა წარბთან.

კარი გაიღო.

მოქანდაკე მოტრიალდა.

ვარდისფერკაბიანი ქალი შემოვიდა.

მოქანდაკეს გაელიმა.

— ამთავრებ? — ქალის ხმით გაიცის ოთახი.

— დავამთავრე, ხომ მოგწონს? ნახე, ნახე, როგორი სიხარულია! — ხელი მოხვია მხარზე და ღიმილით მიიყვანა მერხთან.

ქალის ვარდისფერ კაბას თიხის ლაქა დააჩნდა.

— მაშ, დამთავრე!? — კარგახნის შემდეგ თქვა ქალმა.

— ჰო, დავამთავრე!...

ცრემლი დაგორდა ნუკრის ლოყაზე და თბილი კვალი დატოვა.

— ცრემლი მოიწმინდე, დამთავრდა „სიხარული“. — გაელიმა მოქანდაკეს.

მაგრამ, ეს ღიმილი სულ სხვა ღიმილი იყო.

— ნუთუ მართლა დამთავრდა?.. თვალებში რომ არ ჩამხედა! სიხარულს თვალები არ უნდა? ჩემი ყველაფერი სიხარულში გადაიტანა. თვალები?!





— მიდისარ? — დაეწია ნაცნობი ხმა. მაგრამ გოგონას პასუხის გაცემა არ შეეძლო. გული ყელში ებჯინებოდა. ნელა ჩადიოდა. მაღალი კიბის საფეხურებს ფეხქვეშ კრიალოსანივით მარცვლავდა.

„სისხარული“ დამთავრდა, ყველაფერი იქ დარჩა, თიხაში. ყველაფერი, გარდა ცრემლებისა. „სისხარულს ცრემლები არ უნდა!“ — თითქოს ცხრამთას გადაღმიდან ეძახდა ვიღაც. ფეხის ხმამ გამოარკვია, ეგონა ის დამეწიაო, სხვა იყო. წარბებს ქვევიდან შეათვალიერა გოგონა და რატომღაც ამოიოსრა. ნელა მიდიოდა ნუკრი. „სისხარულს“ თვალების ნაცვლად პატარა ღრმულები აქვს, ცრემლები არ ჭირდება „სისხარულს,“ — იღიმება მოქანდაკე და თიხიან თითებს იფშვნეტს. იქ, ოთახში, თაროებიდან თავს იწონებენ პატარა ქანდაკებები. ვარდისფერკაბიან ქალს მხარზე თიხის ლაქა აჩნია. ეღიმება მოქანდაკეს, რომ მისი „სისხარული“ მზეს, მწვანე გაზაფხულს და მაღალ მთებს შეჭხარის. ...ცრემლიანი მიჰყვება მზიან ქუჩას ნუკრი.

თვალეების ადგილზე პატარა ორმოები, წვიმის შემდეგ რომ დარჩება, ისეთი ორმოები ჩანდა. ნუკრი შემოტრიალდა, წასვლა დააპირა. — შენ მართლა ტირი! — გაიკვირვა მოქანდაკემ და ცხვირსახოცი გაუწოდა. გოგონამ ხელისგულით მოიწმინდა ცრემლები და ჩქარი ნაბიჯით გასწია კარისაკენ.

**ლია ახათიანი**

**ბაბუნაწერა**

სძინავს ზავშუური ძილით ბუნებას, სიო წყაროს არ ესალბუნება, არ კოტრიალობს მინდორში ქარი, რაღაც კი დაფრენს ძალზე მსუბუქი და თეთრი ფერად. ალბათ, პეპელა?! არა, არ არის ის სულიერი, ქარს თუ მიმოაქვს, სად არის ქარი? ნიავი ხეზე ფოთოლს არ აკრთობს. ის კი მოილტვის იყოს შენს ახლოს, ხელს გაიშვერ და გაჰქრება ხელად. იცანით, ვერა? ქარზე მსუბუქი ბაბუნაწერა.


**ზაფხულის პეიზაჟი**

ლილისფერ ცაზე დახლართული თეთრი გველები. და ჩალისფერი ნაწნავეებით გაწოლილი მიწაზე გვალვა. მიწას ცისაკენ გაუწვდია დაკოჭრილი შავი ხელები: — ო, ცოდო არ ვარ?! — მუდარებს მიწა. — ო, ცოდო არ ვარ?! — რად დაიშურე შენი წყალობა, — წვიმის წვეთები, წვიმის წვეთები! — შენს გამჭვირვალე ტერფებს ვეხები — გამშრალ ტუჩებით და გვედრები. ცა გარინდებით დაჰყურებს მიწას მის წინ დაჩოქილს. უცებ დაეწვის თხელი ფეხები და ცა იტირებს... წვეთები წვიმის, წვეთები წვიმის! მიწა იღიმის. ხმელი ფოთლები ჰკრავენ რუებზე პატარა ტივებს.

**ნანა იაზვილი**

**ბაჯის წყაროსთან**

მთვარეს ელოდნენ მაშინ ირმები ბაჯის წყაროსთან, — ამოუბრწყინდესო თვალები იქნებ... ბოლოს შეეცოდა მთვარეს ირმები; ადგა და გამოჩნდა, ფიჭვის კენწეროზე კოცონი დაანთო და ბაჯის წყაროსთან ირემმა თვალეში ჩახედა ირემს...



გოგონამ გადაწყვიტა პედაგოგი გამოსდარიყო და ოჯახს მალე ამოდგომოდა მხარში. დედამ თავი გადაიქინა: აბა, როგორი მასწავლებელი დადგება მისგან? ბიჭივით ცელქია. ქერა, ხვეული თმით, ციმციმა თვალებით...

მაგრამ ლილიმ თავისი გაიტანა — პედაგოგიურ ტექნიკუმში შევიდა. ზოგჯერ გაკვეთილზე თავს აიღებდა ხოლმე და გაიხსენებდა ქართლის ყაყჩოებს, ია-იებს, ძეგვის კალოობას. მშობლიურ ძეგვში მოსმინა დაბალი, გლახური ღიღინი, ჰორთველა, ურმული... სიმღერა ეძახდა. ეძახდნენ ავადმყოფი მამის ოთახში დაკიდული დოლი და დაირა, ჩონგური და გიტარა. პედაგოგმა მარი ციციშვილმა ყურადღება მიაქცია ქალიშვილის მუსიკალურ ნიჭს. გვიან იყო, მაგრამ მაინც დააწყებინა მეცადინეობა... მეზობლის ინსტრუმენტზე. თექვსმეტი წლისა, უკვე საბავშვო ბაღში იწყებს მუშაობას მუსიკის მასწავლებლად, პარალელურად პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას. მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვეღარ წყდება შეჩვეულ საქმეს — ბავშვთა ცენტრალურ სპორტსკოლაში დარჩა პიანისტად. ახალგაზრდა ქალი მთელი სერიოზულობით მიუდგა საქმეს: საჭირო იყო დაეგრა განწყობით, რიტმით. საჭირო იყო იმპროვიზაციის საოცარი უნარი. პიანისტმა გადაწყვიტა ტანმოვარჯიშე ბავშვებს ჩანერგოდათ სიყვარული კლასიკური მუსიკისადმი. დარბაზში გაისმოდა რახმანინოვის, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის მუსიკა. იმპროვიზაციას ხშირად გაერეოდა ქართული ხალხური პანგები.

1946 წელს, მოსკოვში, ფიზკულტურელთა პარადზე, მაცურებელი მოხიბლა ქართული კოლონის გამოსვლამ, მოხიბლა მუსიკალურმა თანხლებამაც, სადაც მოისმოდა ფერხულის, ქართულის, მთიულურის მელოდები. ავტორი მუსიკალური გაფორმებისა სრულიად უცნობი პიანისტი ქალი იყო — ლილი იაშვილი. მისმა მუსიკალურმა თანხლებამ ხომ დახურულ კონკურსში მოიპოვა გამარჯვება.

ასე შეხვდა სიმღერა და სპორტი ერთმანეთს. აქ შეხვდა ქალიშვილი სიყვარულსაც. იგი მალე სპორტის ოსტატს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტს — გრიგოლ მშარდაშვილს მიჰყვება ცოლად. გრიგოლი იმხანად ტანმოვარჯიშე ოსტატ

ქალთა ნაკრებს ამეცადინებდა. მან გამოხარდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის რვა გზის ჩემპიონი მზია ჯუღელი, თინა ქოიავა და სხვები. მაგრამ მუსიკა ახლადშეუღლებულთა ცხოვრებაში პაერივით აუცილებელი გახდა. მათ კონსერვატორიაში შესვლა გადაწყვიტეს. გრიგოლს ბანი აღმოაჩნდა, ლილი კი საკომპოზიტორი განყოფილებაზე, იონა ტუსკიასთან იწყებს მეცადინეობას. ახლა მათ ოჯახში ბავშვის ხმაურთან ერთად ინსტრუმენტი ჟღერს. ოჯახი, კონსერვატორია, სპორტდარბაზი... მაგრამ ქალში არ ჩამკვდარა სიმღერის ძახილი. ის სწავლობს ინსტრუმენტს, პოლიფონიას, კომპოზიციის ტექნიკას და ოცნებობს მუსიკალურ მწვერვალებზე. და სრულიად მოულოდნელად მოვიდა პატარა სიმღერა. მოვიდა, როგორც პირველი სიყვარული, როგორც პირველი წვიმა, უეცარი, ჟუჟუნა. სამეგორში, გასაფხულის სახილველად გასულ მეგობრებს გიტარაინი ქალი ახლდათ. ქალმა გულში ჩამწვდომად დაამღერა გიტარაზე. ლილი იაშვილმა შესთავაზა ლილი გვეგლიას. მოდით, სიმღერას დაგიწერთო. ასე აღმოაჩინეს გასაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ერთმანეთი სიმღერამ, მომღერალმა და კომპოზიტორმა. არაა საქართველოში

„ციცინათელები“, „პატარა სიმღერა“ „ნიბლია“...

საყვარელი დედაქალაქის — თბილისის საინსტიტუტო დღეებში ზურაბ ჭავჭავაძის უსწრებელით გაისმა შესანიშნავი სიმღერა, თბილისზე სიმღერას ტკბილი დუღუკი ახლდა. სწულგანაბული ისმენდა ლილი საკუთარ სიმღერას, საკუთარი სულის ნაწილს. თბილისს მოეწონა სიმღერა, შეითვისა. შეიყვარა მისი შემოქმედიც.

— კომპოზიტორი ლილი იაშვილი, — აცხადებს კონფერანსიე და ესტრადისაკენ იხრები: აი, ახლა მოისმენ ახალს, კარგს, გულისშემძვრელს.

ბედნიერია, ვისაც ასეთი იმედით შესცქერის მსმენელი. ბედნიერია ეს მაღალი, თავის სიმღერასავით მომხიბვლელი ქალი. ინსტრუმენტთან შის, ფილარმონიისაკენ მიეშურება, სამზარეულოში ტრიალებს თუ თავის გოგონას აცილებს სკოლაში, ყველგან თან დასდევს მელოდია.

მელოდიითაა სავეს მისი ოთახიც, სადაც ხშირად მოდიან ესტრადის მომღერლები: მარტე გოძიაშვილი, ლილი გვეგლია, სულიკო კორთინაძე. ისინი ელიან ახალ სიმღერებს, სიმღერებს, რომლებსაც სამშობლოს გარეთაც გაიტანენ და მსმენელებს შეაყვარებენ.



კაცი, რომელსაც ერთხელ მაინც არ დაედიდინოს ლილი იაშვილის „ია-ია“, და არც ისეთი ვინმე მეგულება, ვისაც მომღერალი ლილი გვეგლია და ია-ია ერთმანეთისათვის დაეწოვებინოს... პოეტ შალვა აფხაიძის ლექსიც როგორ დამშვენდა მელოდიას! ლილი იაშვილი ამ მხრივ მეტად ფაქიზია, მას უყვარს პოეზია. ზოგჯერ თავად ლექსი შთაგონებს ხოლმე, ამღერებს! ხალხმა შეიყვარა ლილის სიმღერები: „რც უფრო შორს ხარ“,

ლილი ინსტრუმენტს თავს ხდის და ერთხანს დაფიქრებული დგას. დღეს სხვა ოცნებას გაუტაცია პატარა საეკრადო სიმღერების ხელოვანი — იგი საბავშვო ოპერაზე ოცნებობს. ეს ჟანრი არაა მისთვის უცხო: ლილი იაშვილის „ხოტორა“ ხომ დიდი სიყვარულით სარგებლობს ბავშვთა შორის.

დავულოცოთ გზა ნიჭიერ კომპოზიტორს!  
ნაზი კილასონია

# საგარეო დიპლომატიის ისტორია

ტუბერკულოზს დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს დაავადება მოიხსენიება ძველი საბერძნეთისა და რომის ეპიკოა წიგნებში, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ხალხური მედიცინის ნაწერებში.

1882 წლამდე ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზი უცნობი იყო, და ამიტომ, ამ დაავადების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ეს დაავადება ძნელად ემორჩილება მკურნალობას.

1882 წელს გერმანელმა მეცნიერმა რ. კოხმა გამოავლინა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილა, რომელსაც მეცნიერის საპატივცემულოდ კოხის ჩხირი უწოდეს.

ამ აღმოჩენამ ეპიკოა შორის დიდი ენთუზიზმი გამოიწვია. იმედოვნებდნენ, რომ ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზის გამოვლინების შემდეგ აღარ იქნებოდა ძნელი დაავადების დაძლევა.

მაგრამ, ყველა სამკურნალო-საწამლო ცდებმა უშედეგოდ ჩაიარა. კოხის ჩხირი ხასიათდებოდა მაღალი გამძლეობით სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური საშუალებების მიმართ.

დაბოლოს, როცა მეცნიერები ამაში დარწმუნდნენ, აირჩიეს ტუბერკულოზის მკურნალობის სხვა გზა — თვით ადამიანის ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობის, ანუ იმუნიტეტის აწევა ინფექციის მიმართ.

შემჩნეულია, რომ ტუბერკულოზით დაავადებულის განკურნებას ხელს უწყობს რაციონალური რეჟიმი და კვება, მთისა და ზღვის კლიმატი, სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად ყოფნა და სხვა. ამ ფაქტორების ზეგავლენით ავადმყოფი ორგანიზმის გამძლეობა ტუბერკულოზური ინფექციის მიმართ მაღლა იწევს და დაავადება იწყებს უკუგანჯივარებას. ამის საფუძველზე მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მედიცინამ შეიმუშავა ტუბერკულოზით დაავადებულთა კურორტული და დიეტური მკურნალობის მეთოდები.

მკურნალობის აღნიშნულ მეთოდებს დაემატა ხელოვნური პნევმოთორაქსი და ოპერაციული ჩარევები გულმკერდზე.

ტუბერკულოზთან ბრძოლის ეს მეთოდიც არ იყო საკმარისი დაავადების სალიკვიდაციოდ, რადგან კურორტული მკურნალობა და რაციონალური კვება კაპიტალისტური წყობილების პირობებში ხელმისაწვდომია მხოლოდ შეძლებული კლასებისათვის; ისე ეს მეთოდი დადებით სამკურნალო ეფექტს იძლეოდა ზოგიერთი კლინიკური ფორმების დროს, ხოლო ქირურგიული მკურნალობის და ხელოვნური პნევმოთორაქსის გამოყენება დასაშვებ იყო განსაზღვრულ პროცენტში.

ამიტომ, მეცნიერთა აზრი წარმართა ახალი დივიზიით, უმჯობესია და უფრო ადვილია, ადამიანი ავარიდით დაავადების, ვიდრე ვუმკურნალოთ მას.

ტუბერკულოზისაგან თავიდან აცილების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად 1921 წლიდან მოწოდებულ იქნა ვაქცინა, რომლის შეყვანით ახალშობილის ორგანიზმში აღწევდნენ ტუბერკულოზისადმი იმუნიტეტის გამომუშავებას. დამტკიცდა, რომ ვაქცინირებულები (აქრილები) გაცილებით იშვიათად სდებიან ავად, ვიდრე არავაქცინირებულები.

მეორე მძლავრ პროფილაქტიკურ საშუალებად მიიჩნიეს ორგანიზმის გაკაფება სუფთა ჰაერით, ფიზიკური ვარჯიშით, მზის აბაზანებით, ზღვაში ბანაობით, წესიერი რეჟიმით და კვებით. ამ საშუალებების გამოყენებით ადამიანის ორგანიზმს ტუბერკულოზის ინფექცია ვერ სძლევს. კოხის ჩხირი მაშინ იწყებს დაავადებას, როდესაც იგი დაძაბუნებულ ორგანიზმში სვდება.

გასაკებია, რომ მოსახლეობაში ასეთი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება დაკავშირებული იყო სოციალურ ფაქტორებთან და ამიტომ, კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში განუხორციელებელი რჩებოდა; ტუბერკულოზით დაავადების პროცენტი მატულობდა ამ სახელმწიფოთა მოსახლეობის ფართო მასების სიღატაკის პრობორციულად.

1943 წელი ტუბერკულოზის მკურნალობის ისტორიაში მნიშვნელოვან თარიღად შეიძლება იქნას აღიარებული.

ზ. ვაქსანამა გამოიყენა რა ცნობილი რუსი მეცნიერების: ა. მანასეინის, ა. კრაინსკის, ა. კრასილნიკოვის და სხვათა ნაშრომები, 1943 წელს შესდლო მიეღო სტრუბტომიცინი, მეტად ეფექტური საშუალება ტუბერკულოზის ბაცილების მიმართ. ამ ანტიბიოტიკის ზეგავლენით ტუბერკულოზის ბაცილა კარგავს თავის ცხოველმყოფელობას, გამრავლების უნარს და ადვილად დასაძლევია ხდება ადამიანის ორგანიზმის მიერ.

ასე ჩაეყარა საფუძველი ტუბერკულოზის მკურნალობის ახალ მიმართულებას. განხორციელდა მედიცინის მუშაკთა მრავალი წლის ცდა და ოცნება — ტუბერკულოზის ჩხირი დაძლეულია.

სტრუბტომიციინის შემდეგ გამოიყენეს სხვა არანაკლებ ეფექტური ანტიბაქტერიალური საშუალებები: ფტივაზიდი, პასკი, ციკლოსერინი, ეტიონამიდი, ბიომიცინი და სხვა.

რა მოგვცა ტუბერკულოზის მკურნალობაში ანტიბაქტერიალურმა პრეპარატებმა?

ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენში, მკვეთრად შემცირდა ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვი; შემცირდა სიკვდილიანობა. ტუბერკულოზის ისეთი ფორმები, რომლებიც წინათ განუკურნებლად ითვლებოდა (მაგალითად, ტუბერკულოზური მენინგიტი), დღეს წარმატებით ემორჩილება მკურნალობას.

ამგვარად, თითქოს, დაისახა პერსპექტივა უმოკლეს დროში ტუბერკულოზის სრული ლიკვიდაციისათვის.

სტრუბტომიციინის აღმოჩენიდან გავიდა 20 წელი და ტუბერკულოზი ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ანტიბაქტერიალური პრეპარატები ჰკურნავს ტუბერკულოზის მხოლოდ ნაადრევ ფორმებს და არ იძლევა სასურველ ეფექტს შორსწასული, კავერნოზული ფორმების დროს. ტუბერკულოზის შორსწასული ფორმებით შეპყრობილ ავადმყოფთა რიცხვი სხვადასხვა ქვეყნებში ჯერ საკმაოდ დიდია.

1960 წელს ჩვენმა მთავრობამ ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის გამოსცა დადგენილება, რომ ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის ყველა ხარჯებს იღებს სახელმწიფო: ავადმყოფებს ეძლევათ უფასო მედიკამენტები განუსაზღვრელი რაოდენობით; იგზავნიან უფასო საგზურებით სანატორიუმებში, ხანგრძლივი ვადით სრულ განკურნებამდე; მკურნალობის პერიოდში ენახებათ ხელფასი; ეძლევათ იზოლირებული ბინა; მათი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით ბავშვები, პროფილაქტიკური მიზნით იგზავნიან სანატორიუმებში.

სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებებს დაევალით ყურადღება გაამახვილონ ტუბერკულოზის დროული გამოვლინებისათვის. ამისათვის გამოყოფილია ფლუოროგრაფიული აპარატები, რომლის საშუალებით სწარმოებს მოსახლეობის მასობრივი გამოკვლევა ტუბერკულოზით დაავადებაზე. ბავშვებში და მოზარდებში მასობრივად ტარდება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრები. ეს იცავს მოზარდ თაობას ტუბერკულოზის მიმე ფორმებით დაავადებისაგან.

ბაცილგამომყოფ ავადმყოფთა ოჯახებში ტარდება სანიტარული და პროფილაქტიკური ღონისძიებები (დეზინფექცია, ოჯახის წევრებზე საექიმო კონტროლი და სხვა).

როგორი უნდა იყოს მოსახლეობის როლი ამ ღონისძიებების გატარებაში?

თითოეულმა საბჭოთა მოქალაქემ მაღალი შეგნებულობა უნდა გამოიჩინოს და ყოველნაირად დაეხმაროს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ავადმყოფთა დროულ გამოვლინებაში, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრების ჩატარებაში, ბაცილსან ავადმყოფთა მიერ ინფექციის გავრცელების შეზღუდვაში.

დღეს ჩვენ გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ტუბერკულოზი მთლიანად დაძლეულ იქნას. საჭიროა მხოლოდ ყველა მოქალაქის მაღალი შეგნება და ხელისშეწყობა იმ ღონისძიებების მიმართ, რასაც ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ატარებენ ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმეში.

### 3. უზმირიძე,

რესპუბლიკის მთავარი ფტიზიატრი.



# ვიწყნებთ სეზაკს სიყვარულზე, ოჯახზე, ბედნიერებაზე

## კა აკის სიყვარული?

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესს საგანია სწორედ სიყვარულის, ოჯახისა და ბედნიერების საკითხები. მკითხველები მითითებენ არა მარტო პასუხს თავიანთი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ისეთ რჩევებსაც, რომლებიც დაეხმარებოდა მათ სიყვარულის, ოჯახის და ბედნიერების მოპოვებასა, დაცვასა და განმტკიცებაში.

ჩვენ გვინდა, რომ ყოველი ქალი და ვაჟი ქორწინდებოდეს მხოლოდ სიყვარულის საფუძველზე, რომ ახალდაქორწინებულებს უჭიმინდეთ შესანიშნავ მატერიალურ პირობებს ბავშვების გაჩენისა და აღზრდისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება მაქსიმალურად შემოქმედებითი, ხალისიანი და ბედნიერი იყოს. ეს მიზანი და სურვილები ჩვენი, კომუნისტური საზოგადოებების სამოქმედო პროგრამაშია ფიქსირებული და ჩვენს ყოველდღიურ შრომასა და მონდობებაზე დამყარებული მათი განხორციელება.

მაგრამ ყველაფერი როდია დამოკიდებული მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. ასევე არსებითი და მნიშვნელოვანია ადამიანთა შეგნების ამაღლება, მათი მალაღუნებრივი თვისებების ჩამოყალიბება, კერძოდ, იმის მიღწევა, რომ ყოველი ჩვენგანი სწორად ეკიდებოდეს სიყვარულის, ოჯახისა და ბედნიერების საკითხებს.

უსიყვარულოდ არ არსებობს ნამდვილი, ჯანსაღი ოჯახი, ხოლო ამ უკანასკნელის გარეშე ნაკლოვანია და უფერული ყოველგვარი ბედნიერება. სიყვარულსა, ოჯახსა და ბედნიერებას შორის ქრონოლოგიური თანამიმდევრობაც არსებობს, მიზნულ-შედეგობრივი კავშირაც და შინაარსობრივი ერთიანობაც.

„სიყვარულის“ პირველადი და ძირითადი მნიშვნელობა ქალ-ვაჟის სიყვარულია. იგი ბევრად განსაზღვრავს სიცოცხლის ხალისს და ბედნიერებას. ამიტომაც, რომ სიყვარული მსოფლიო პოეზიისა და, საერთოდ, ხელოვნების მარადიული, ამოუწურავი თემაა. რა არ დაწერილა და

არ თქმულა ამ გრძნობაზე, მაგრამ ყოველი ცალკეული ადამიანის ბედი, მისი ცხოვრების პირობები და ინტერესები იმდენად თავისებური, ინდივიდუალურია, რომ ტიპიურ სიტუაციებზე მითითებით ამ თემას ვერ ამოწურავთ.

## „როგორ გავაჩივოთ?“

ყოველმა შეყვარებულმა იცის, თუ როგორია სიყვარულის გრძნობის განცდა, იცის ამ გრძნობის ნიშნებიც და შედეგებიც. მაგრამ ბევრი სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გააჩივოთ ნამდვილი სიყვარული მოჩვენებითისაგან, როგორ დაცვან სიყვარული, როგორ მოიქცნენ ღალატისა ან იმედგაცრუების შემთხვევაში და ა. შ.

„მე ერთი უბრალო გოგო ვარ, ჩამოსული მეზობელი ქალაქიდან სასწავლებლად, — წერს რედაქციას ერთი ქალიშვილი. — ერთ დღეს გამომეცხადა ჩემი პირველი სიყვარული... ჩვენ ერთმანეთს მესობლად ვცხოვრობდით და დიდი ხანია შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მაგრამ ამ დღეს უფრო ახლო გავიცანი. მტკიცე სიტყვა მივეციტე მუდამ შეყვარებოდა ერთმანეთი და სწავლის დამთავრების შემდეგ ერთად გავგეჟოვით ცხოვრების ჭაპანი.

არ მეგონა, თუ იქნებოდა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა ჩვენს დაშორებას, მაგრამ აი, მოხდა ისე, რომ დღეს მას სხვა უყვარს, სხვას ეფიცება სიყვარულს, ისე და იმგვარად, როგორც მე მეფიცებოდა ამ ცოტა ხნის წინათ. ის თავს ბედნიერად გრძნობს, მას უყვარს...

ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და ჩვენი საუბარი იღებს მეგობრულ, ამხანაგურ სახეს. მე ვმსახიბობ მასთან საუბრისას, ვარიგავ, ვურჩევ, ვთხოვ კვლავ მომმართოს გაჭირვებისას დახმარებისათვის. რამდენი თვალთმაქცობა, რამდენი ნებისყოფა მჭირდება ყოველივე ამისათვის. არ მინდა ვაგრძნობინო, თუ როგორ ვიტანჯები, რადგან მიყვარს, მიყვარს თავდავიწყებით...

ნაცვლად იმისა, რომ ეცადოს არ დამენახოს, გადამაიწყოს ყველაფერი, ჩემთან შეხვედრისას მესაუბრება თავისი „რომანი“ წარმატებებზე. განა ვერ უნდა მიხვდეს, რაოდენ ტანჯავს მიყენებს ამით? განა სწორად იქცევა? სწორი ვარ თუ არა, როცა მას ეპირდება გავეუწიო დახმა-

რება ყველაფერში და ჩემს თავს კი ვაგდებ ასეთ სატანჯველში?

გთხოვთ დამეხმაროთ, მომცეთ რჩევა-დარიგება: როგორ მოვიქცე, რომ არ ავცდე სწორ გზას? უცნობი ღიზა ფასისელი“.


ცალმხრივი სიყვარულის ტიპიური სიტუაციაა. რა უნდა გურჩიოთ „უცნობ ღიზას“, განა მან თვითონ არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს? შესანიშნავად იცის, მაგრამ მხოლოდ ცოდნა რას უშველის, თუ ვერ დაემორჩილა ამ „ცოდნას“. მან იცის, რომ საჭიროა გულწრფელი ახსნა-განმარტება და ჩამოშორება, დაეწევა, მაგრამ გული არ ემორჩილება, ისევ ვაჟისკენ იზიდავს, მასთან შეხვედრით და საუბრით მშვიდდება და სადღაც, სულის სიღრმეში სიყვარულის აღდგენის იმედის ნაპერწკალიც უღვივის. თუ ეს ნაპერწკალი ჩაქრა, ალბათ, ღიზა მალე განიკურნება ცალმხრივი, უიმედო სიყვარულის სენისაგან.

სწორად იქცევა თუ არა ვაჟი? პირობის გატეხა და ღალატი ვაჟკაცობა არ არის, მითუმეტეს, თუ ასეთი სიყვარულის მტკიცებითა და ქალის უსაზღვრო ნდობით ისარგებლებს კაცი. მაგრამ თუ ასეთ დანაშაულთან საქმე არა გვაქვს და ვაჟი გულწრფელად ფიქრობს, რომ მათ შორის უკვე მხოლოდ მეგობრობაა და არა სიყვარული, მაშინ არაფერი არ შეიძლება გვექონდეს გულწრფელობის საწინააღმდეგო. ქალაც გულწრფელი უნდა იყოს ამ დროს, არ უნდა მალავდეს თავის გრძნობებს. ასეთ შემთხვევაში ევთისტი, ბოროტი უნდა იყოს ვაჟი, რომელიც არ შეეცდება გაანთავისუფლოს ქალი ზედმეტი ტანჯვისაგან.

რატომ უნდა აცდეს ღიზა სწორ გზას, რა აწინებს მას? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ ეს სიყვარული გააჩვიებს, უწესო ცხოვრებას დააწყებინებს ან თავს მოაკვლევინებს? ათასი ერთხელ მართლაც ხდება ასეთი რამ, მაგრამ შეგნებული და ნებისყოფიანი ახალგაზრდობის უმრავლესობა ეგუება მდგომარეობას და ეხმარება საკუთარ თავს ამ „სენისაგან“ განკურნებაში.

## სიყვარული და გაჯანჯა

ღიზამ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ სწრაფ-წარმავალი სიყვარული უფრო გატაცებაა, ვიდრე სიყვარული, ესე იგი, ვაჟს იგი სინამდვილე-



ში არ ყვარებია. სიძნელე სწორედ ისაა, როგორ გავარჩიოთ სიყვარული გატაცებისაგან. სიყვარული ყველაზე ღრმა და არსებითი შინაარსით მორალური, ეთიკური მოვლენაა, მაშინ, როცა გატაცება ესთეტიკურისა და ეთიკურის მიჯნაზე ძვეს. მრავალ სუბიექტურ და შემთხვევით ფაქტორებზე და დამოკიდებული გატაცებაც და იმედგაცრუებაც. ვერ დაადგენ აქ ნორმას, ვერ დააკანონებ გატაცების მარადიულობას. ფაქტია, რომ ჭეშმარიტი სიყვარული ქალ-ვაჟთა შორის ურთიერთობის ისეთი მალალი ფორმაა, რომელიც ცვალებადობას ვერ იტანს. ჭეშმარიტი სიყვარულს შინაგანად გააჩნია თვითშენახვისა და მარადიულობის ტენდენცია, თუ კი შეიძლება ადამიანის სიცოცხლის მიმართ რაიმე მივიჩნიოთ მარადიულად.

რაც უფრო ძლიერია სიყვარული, მით უფრო მეტად უძლებს იგი არა მარტო ჟამთა სვლას, არამედ არახელსაყრელ პირობებს და უარყოფით, ხელისშემშლელ ფაქტორებსაც. ასეთ გამძლეობას მოკლებულია უბრალო გატაცება, რაც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ძლიერი მოწონება და დაახლოების სურვილი. საკმარისია ასეთმა გატაცებულმა ვაჟმა ან ქალმა თავიანთ გარემომცველთა და ნაცნობთა შორის აღმოაჩინოს უფრო მოსაწონი და მიმზიდველი, რომ ძველი გატაცება გაქრეს და შეიცვალოს ახლით.

როცა გატაცება უძლებს დროსაც, გვიან შემჩნეულ ნაკლოვანებებსაც და უფრო მოსაწონისთა გამოჩენასაც, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ესთეტიკური განცდის სფეროდან ეთიკური განცდის სფერომდე ამადლებასთან. სწორედ ესაა ნამდვილი სიყვარული. „გაგიჟებით მიყვარსო“, — მაშინ შეუძლია სრული უფლებით თქვას ადამიანმა, როცა მან გაულო სიყვარულის ჩასახვის ეს ბუნებრივი ფაზები (მოწონება, გატაცება, სიყვარული) და გაუძლო გარკვეული დროის გამოცდას. სწორედ დრო არის ის უებარი მკურნალი, რომელიც ემზარება ყველას კარგად გაერკვეს როგორც საკუთარ, ისე სხვის გრძნობებსა და განცდებში.

ჩვენს გულში. დამეხმარეთ, მირჩიეთ რამე. როგორ მოვიქცე, რომ ოჯახი არ დამეგრეს?“

ეს წერილი ჭკუისსასწავლებელია იმ უნებისყოფი ქალიშვილებისათვის, რომლებიც საკუთარ სისუსტით და თავშეუვალებლობით საფრთხეში აგდებენ თავის მომავალ ოჯახსა და ბედნიერ ცხოვრებას. თუ ძალით გაუპატიურებთან გვაქვს საქმე, ასეთი მხეცობის პატიება და მიჩქმალვა დანაშაულია და სწორედ ამ დანაშაულის გამო ისჯება ისევე დაზარალებული მხარე — ქმრის ეჭვიანობითა და ოჯახის დაკარგვის საშიშროებით.

ზოგიერთები თვლიან, რომ ოჯახი გაიღანძლება, თუ ასეთ ფაქტს გაამხეღენ და ადრევენ საქმეს სასამართლოში. ეს ჩამორჩენილი, მემჩინური შეხედულებაა, რომელიც აქეზებს და დანაშაულისაკენ უბიძგებს ადვირახსნილ ახალგაზრდებს (და არა მარტო ახალგაზრდებს!). ოჯახი და ქალიშვილი სწორედ მაშინაა გაღანძლული, როცა იგი არ იცავს თავის ღირსებას და თავმოყვარეობას. მოძალადის პასუხისმგებლობაში მცემა და მკაცრი სასჯელისათვის ბრძოლა ერთი საშუალებაა, რაც სპობს ან არბილებს ოჯახის გაღანძლულობას.

### ეჭვიანობა

ყოველივე ეს ენება ერთის მაგალითზე მეორის ჭკუისსწავლების საკითხს. ხოლო რაც შეეხება წერილის ავტორის თხოვნას, რით უნდა დავებმართო მას? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ ჩვენი ჟურნალი შეძლებს ეჭვიანი ქმრების მოღობას და დაშოშინებას? ეს ყველაზე კარგად ისევე ცოლღებს შეუძლიათ. ეჭვი აუღებელი ცინე-სიმეაგრე არაა, თუ ეს ეჭვი ეხება წარსულს და არა აწმყოს. მაგრამ იქნებ აქ ეჭვი არაფერ შუაშია, იქნებ ეს მხოლოდ საბაბია, რომ ქმარმა ახალი სიყვარულის უფლება მისცეს თავის თავს? ხოლო თუ მართლაც ეჭვია და გვიან გადავიძებული „შელახული“ თავმოყვარეობა ტანჯავს მას, ასეთმა ქმრებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ცოლი არ იძლევა ეჭვიანობის ახალ საფუძველს, მაშინ მათ თავმოყვარეობასა და ღირსებას მისი უპრინციპობა უფრო ლახავს, ვიდრე ცოლის მიერ ოდესღაც ჩადენილი და მონანიებული მწარე შეცდომა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიჭადაგოთ გულგრილობა ცოლების (ან ქმრების) წარსულსადმი, მაგრამ არც ის შეიძლება წავახალისოთ, რომ ადამიანი ვერ ამაღლდეს ჭეშმარიტი ადამიანური ღირსების შეგნებამდე და ეჭვიანობას დაუმორჩილოს თავისი ცხოვრება. ნამდვილი ჭეშმარიტი სიყვარული კი არ ჰკვებავს, არამედ ახმობს უსაფუძვლო ეჭვიანობას.

ზოგჯერ ქალ-ვაჟის გატაცება დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ ამის მიხედვით როდი წყდება ოჯახის ბედი! ბავშვების სიყვარული, მათი აღზრდისა და კეთილდღეობის ინტერესები იწარ-

ჩუნებს ოჯახს. მშობლიური მოვალეობის გრძობა ძალიან ხშირად გვევლინება ოჯახის სიმტკიცის პირობად. ამ ფაქტორს ბევრად უწყობს ხელს საზოგადოებრივი აზრისადმი პატივისცემის გრძნობაც. მაგრამ ყოველივე ეს გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს მეუღლეთა შორის პატივისცემა და დაფასება. იქ, სადაც ასეთი პატივისცემა არ არის, შეუძლებელია ბავშვის ნორმალური აღზრდა და, მაშასადამე, ერთადერთი სწორი გამოსავალია განქორწინება.

### უხვილო ქორწინება

ოჯახის ერთ-ერთი არსებითი ფუნქცია ბავშვის აღზრდაა. ამით აიხსნება, რომ განქორწინების მოტივებში ყურადღება ექცევა მეუღლეთა უშვილობის ფაქტორსაც. მაგრამ აქედან არ შეიძლება ისეთი დასკვნის გაკეთება, რომ ოჯახი უნდა დაირღვეს, თუ შვილი არ გაჩნდა უდიდ-მამო ბავშვთა აყვანა დიდი ხანია მიჩნეულია მაღალზნეობრივ მოქმედებად. „უშვილობის გამო“ ოჯახს ის არღვევს, ვისაც არ უყვარს მეუღლე, არ აფასებს და პატივს არ სცემს მას. ეს უკანასკნელი თავისთავად საკმარის საფუძველი უნდა იყოს განქორწინებისათვის და უშვილობის მოშველიება აქ უეფექტია. განქორწინების საფუძველად შეიძლება გამოდგეს მეუღლის მიერ ბავშვის გაჩენაზე უარის თქმა და არა უნებლიე უნაყოფობა.

საკმაოდ ბევრი მაგალითია ცნობილი, თუ რა ძლიერ უყვართ უშვილო მეუღლეები ერთმანეთი. ამასთან უშვილობა უმთავრეს შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის ბრალია და არა ორთავესი, მაგრამ სიყვარულის ან ურთიერთპატივისცემის პირობებში არავინ სარგებლობს ბოროტად ამ უპრინციპობით და არ აყვედრის მეორე მხარეს.

რედაქციისადმი გამოგზავნილი წერილებში სამართლიანად გამოთქვამენ გულისტკივილს იმის გამო, რომ უშვილო ოჯახის დანგრევაში ზოგჯერ განსაკუთრებით აქტიურობენ დედამთილები ან სხვა ნათესავები. ასეთ გულისტკივილს გამოთქვამს, მაგალითად, ქ. გორში მცხოვრები ერთ-ერთი პედაგოგის მეუღლე. მსგავს შემთხვევებში განსაკუთრებით საჭიროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩარევა და ზრუნვა ოჯახების შენარჩუნებისათვის.

საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის უნდა იცავდეს ოჯახის სიმტკიცეს, სიყვანსაღეს, მის ხელშეუხებლობასა და ბედნიერებას.

### სიყვარული და ასაკი

წერილებში ხშირად გვეკითხებიან, თუ როგორი ასაკობრივი სხვაობაა დასაშვები მექორწინე ქალსა და ვაჟს შორის, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება მეუღლის „ამორჩევას“ და სხვა.

ცოლსა და ქმარს შორის ასაკობრივი სხვაობის საკითხი არაერთხელ გამზადარა საეციალის-

### კითხვად ჩადენილი უხვილობა

რედაქციაში შემოსული ზოგიერთი წერილის ავტორი თავის შეცდომებს იხანებებს და რჩევადარიგებას ითხოვს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ ოჯახი არ დაეგრეს.

„უმაღლესში სწავლისას, — წერს ერთერთი ასეთი წერილის ავტორი, — ძალით გამაუბატიურა ცოლშვილიანმა კაცმა. გადაწყვეტილი მქონდა თავი მომეკლა, მაგრამ ვერ შევძელი... გაგთხოვდი ერთ კარგ ვაჟზე. გულწრფელად ეუამზე სიზმართლე. ის შეურიგდა ყველაფერს და მამაკატია, როგორც უბედურს. გვეყვოლა ვაჟი. ჩემს მეუღლეს ახლა აკონდებდა ჩემი წარსული, ჰგონია რომ უნამუსო ვიყავი. არაფერს ცუდს არ მკადრებს, მაგრამ ვატყობ: იტანჯება, ღამეებს ათენებს, თამბაქოს წვეკს დაეწვია. მატერიალურად კარგად ვცხოვრობთ. სხვებო შემოგვანატრან კიდევც — რა ტკბილი ცხოვრება აქვთო. ის კი არ იცოიან, რა ცუცხლი ტრიალებს



ტა კვლევისა და მსჯელობის საგანი, მაგრამ აქ რაიმე გარკვეული შეფარდების დაკანონება შეუძლებელია.

მიჩნეულია, რომ, საერთოდ ქალი უფრო ადრე „მოიფდება“, ვიდრე ვაჟი. ამის გამო სასურველია ვაჟი უფროსი იყოს ქალზე, რომ ისინი ერთნაირად კარგად იყვნენ ბიოლოგიურად მომზადებულნი ახალი თაობის გაჩენისათვის. ეს ფაქტორი შეიძლება ამართლებდეს ქალსა და ვაჟს შორის სულ დიდი 3-5 წლის სხვაობას.

ასევე მიჩნეულია, რომ დედობა უფრო აბერებს ორგანიზმს, ვიდრე მამობა. ამიტომ ოჯახის სიმტკიცის ესტეტიკური წყაროები რომ მალე არ ჩაქრეს, სასურველია ქალი უფრო ახალგაზრდა იყოს, ვიდრე ვაჟი. ეს უკანასკნელი ბიოფსიქოლოგიური ფაქტორი შეიძლება ამართლებდეს 10-15 წლის სხვაობას ქალსა და ვაჟს შორის.

მაგრამ ცნობილია, რომ გატაცება და სიყვარული, როგორც დაქორწინების ძირითადი სტიმულები, ნაკლებად უწყვეტ ანგარიშს ბიოლოგიურ, ბიოფსიქოლოგიურ თუ სხვა ხასიათის ფაქტორებს, მით უმეტეს, რომ ასაკობრივი სხვაობა ხშირად ხელს უშლის ქალისა და ვაჟის ინტერესების, მიდრეკილებების, ხასიათებისა და სხვათა ერთიანობა-თანხმობის მიღწევას. ამით აიხსნება, რომ ხშირად ქორწინდებიან თანატოლები, რადგან გატაცება და სიყვარული არაფერს არ უწყვეს ანგარიშს, ამითვე აიხსნება, რომ არც თუ ისე იშვიათად ვაჟები ირთავენ მათზე უფრო ხნიერ ქალებსაც კი.

## აკსაბოგს თუ აკა გუბივი სიყვარული

უკვე ითქვა, რომ სიყვარულის საწყისი საფეხური მოწონებაა. ხოლო „მოწონების“ ცნებაში პირველ რიგში იგულისხმება გარეგნობით მოწონება. შეუძლებელია წარმოიშვას სიყვარული იმ ვაჟსა და ქალს შორის, რომლებსაც არაფერი არ მოსწონთ ერთმანეთის. ნორმალურ პირობებში ასეთი წყვილის დაქორწინება შეუძლებელია.

მაგრამ გარეგნობის მოწონებით არ უნდა შემოიფარგლოს წყვილთა „შერჩევა“. თუ სიყვარულს მოწონებისა და ურთიერთტოლგის მეტი არაფერი კვებავს, იგი იმთავითვე განწირულია, რამდენადაც, ჯერ ერთი, გემოვნება იცვლება, და, შემდეგ, ურთიერთტოლგა დროთა განმავლობაში სუსტდება. მაგრამ ნამდვილმა სიყვარულმა მომეზრება არ იცის. მოყვარული ცოლ-ქმრის ერთმანეთისადმი ვნებების ჩაქრობა აუცილებლად არ იწვევს სიყვარულის გაქრობას. ამის შესახებ ი. მ. სერენოვი წერდა:

„გადის თვეები, წელი, დიდი-დიდი ორი, და ჩვეულებრივი ვნება უკვე ჩაქრა. ყველაზე ბედნიერ შემთხვევაშიც, როცა ორივე მხრივ სინამდვილე შეესატყვისებოდა იდეალს... მაგრამ სიყვარული არ მოსპობილა. რეფლექსის ხშირი განმეორებით, რომელშიც ფსიქიური შინაარსია სიყვარულის წარმოდგენა ამა თუ იმ, ან ყველა

თვისებით, მისი სახე ერწყმის მიჯნურის სულის, ასე უთქვამთ, ყოველ მოძრაობას, და იგი გადაიქცა მართლაც მის ნახევრად. ესაა სიყვარული ჩვევით-მეგობრობა. ადამიანი, რომელსაც ერთხელ განუცდია სრული სიყვარულის ყველა ეს ნატურალური ფაზა, ძნელად თუ შესძლება შეიყვაროს ვნებით მეორედ. ვნების განმეორება—წინა სიყვარულით დაუკნაყოფილებლობის ნიშანია» (И. М. Сеченов, Избр. произв. 1953, стр. 108—109).

ასეთი სიყვარული რომ წარმოიშვას ცოლსა და ქმარს შორის, მათი გარეგნობისა და სხვა ფიზიკური თვისებების მოწონებასთან ერთად უნდა არსებობდეს მათი სულიერ უნართა მოწონება, შეთანხმება, ერთიანობა. ასეთ სულიერ უნართა შორის პირველ რიგში უნდა დავასაუბლოთ ზნეობრივ შეხედულებათა და გრძნობათა ერთიანობა. ცოლი და ქმარი ერთნაირად ზნეობრივი უნდა იყვნენ. ამ მხრივ ქალსა და ვაჟს შორის ყოველი სხვაობა ან დაპირისპირება ხელს უშლის სიყვარულის ჩასახვასა და წარმოშობას. გულწრფელი ვერ შეიყვარებს თვალთმაქცს, პრინციპული—უპრინციპოს, თავმდაბალი—ქედმაღალს, თავაზიანი — თავხედს, გულუხვი — ძუნწს, მამაცი — მსდალს და ა. შ. ერთი სიტყვით, წესიერი, პატიოსანი და ბეჯითი ვერ შეიყვარებს უწყესოს, უსინდისოსა და უქნარას. ზნეობრივ თანახმობას ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია იმ ქალსა და ვაჟს შორის ნიყვარულის წარმოშობასა და გაღვივებაში, რომლებსაც გარეგნობით მოსწონთ ერთმანეთი.

მიიშველოვანდ უწყობს ხელს ცოლსა და ქმარს შორის სიყვარულს მათი ინტელექტუალური განვითარებისა და საერთო კულტურული დონის ერთიანობა. ყოველივე ეს დროთა განმავლობაში გადაიზრდება ხასიათთა მსგავსება-თანხმობაში. ცოლსა და ქმარს შორის სიყვარულის პირობები ეს იგივე მეგობრობის პირობებია. ცოლქმრული სიყვარული იგივე მეგობრობაა, მაგრამ მისი საფუძველი მოწონებაა.

ქორწინება ზნეობრივია მხოლოდ მაშინ, — გვასწავლის ფ. ენგელსი, — თუ იგი ეფუძნება სიყვარულს. იგი ზნეობრივია მანამ, სანამ გრძელდება სიყვარული. უსიყვარულო ცოლქმრობა ზნეობრივად გაუპართლებელია არა მარტო იმიტომ, რომ ნაძალადევი ერთად ყოფნა ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების შელახვაა, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი უსიყვარულო ოჯახი ვერ შექმნის ბავშვების აღზრდისათვის საჭირო პირობებს. მითუმეტეს, ზედმეტია ლაპარაკი ოჯახის შენარჩუნებაზე იმ კაცსა და ქალს შორის, რომლებიც არ ერიდებიან ერთმანეთის ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას.

ბავშვების კეთილდღეობისათვის პირადი ბედნიერების მსხვერპლად შეწირვა სანაქებოა, მაგრამ თუ ეს მსხვერპლი უნაყოფოა და მოზანს ვერ აღწევს, მაშინ ადამიანი თავისუფალია თავის მოქმედებაში როგორც ზნეობრივად, ასევე სამართლებრივად.

გელა ბანძელაძე

მკითხველებს ვთავაზობთ რუსი პოეტის ვლადიმერ სოლოუხინის სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა „ნედელიას“ 1964 წლის მე-4 ნომერში.

წერილში საინტერესო საკითხია დაცეხებული.

ქართულ ენაზე მოსაუბრენიც აწყდებიან ბევრ უხერხულობას ყოველდღიურ საუბარში, განსაკუთრებით კი უცხო პირებთან გამოლაპარაკების დროს.

მოდით ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. რედაქცია ელის მკითხველთა მოსაზრებებს!

ერთ ჩემს მეგობარს დაბადების დღე ჰქონდა. მაგიდასთან თექვსმეტამდე კაცმა მოიყარა თავი. ზოგი მათგანი ჩემთვის უცნობი იყო. ვიდრე მაგიდას მივუსხდებოდი, რასაკვირველია, ერთმანეთი გაგაცნეს, მაგრამ ერთდროულად თექვსმეტი კაცის სახელისა და მამის სახელის დამახსოვრება ადვილი საქმე როდია. ანდა, თუ დამახსოვრე, მაინც არა ხარ დარწმუნებული, რომ ერთმანეთში არ აგვირევა.

და აი ჩავფარდი კიდევ უხერხულ მდგომარეობაში. გადავწყვიტე გვერდით მჯდომი მანდილოსნისათვის სალათი მიმეწოდებინა, მაგრამ თითქოს ჩემს ჯიბრზე, იგი მიტრიალდა და მეზობელთან გააბა მუსაიფი. გაგშეშდი, სალათი ხელში მიჭირავს, ქალი ვერ ხედავს. როგორ მიემართო, როგორ მივიტციო მისი ყურადღება. არც სახელი ვიცი და არც მამის სახელი. იღაყვი გაკვრა, უზრდელობაა, ვუთხრა „ეე“—მით უარესი, მიემართო — „აჰსანავო! ხომ არ ინებებთ სალათს?“ — რაღაც ძალზე ოფიციალურია ინტიმურ სუფრასთან. „მოქალაქე, ინებეთ სალათი?“ — არც ეს ქღერს გულთბილად. გამოუვალ მდგომარეობაში ვარ. ვიხმარო ამჟამად საკმაოდ გაგრცულებული თქმა. „ქალიშვილო“, მაშინ ხომ ვაწყენინე და ის არის.

— ღმერთო ჩემო, — მეტყვის იგი. — რაღა ქალიშვილი ვარ, აშხელა შვილების პატრონი!

ერთხელ მაღაზიაში შემემთხვა ასეთი რამ: გამოიდგელი ქალი საქონლის გადმოსაღებად იყო მიბრუნებული, მე პოლიციის ყიდვა მიწოდდა.

— ქალიშვილო, შავი პოლიციი ხომ არა გაქვთ, — რიხიანად ვკითხე მე. „ქალიშვილი“

# გოგონათ სიყვარული!

მობრუნდა და, რას ვხედავ, ორმოცდაათზე მეტის მარცხ იქნება. გავეითლდი და გამოვარდი მაღაზიიდან.

მაშ რა ვქნათ, როდესაც უცნობ ქუჩას ვეძებთ? ან კიდევ გესურს ვისმეს ვთხოვოთ გაიწიოს წინ მეტროში, ტროლეიბუსში? „Еудыте лубезны“ — „კეთილი ინებებთ“ ვამბობთ ჩვენ. გაურკვეველია კონკრეტულად ვის მივმართავთ ამ დროს?!

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი სიტყვა „ამხანაგო“, სიტყვა ძველია, დამაკავშირებელი, მაგრამ ჯერ ერთი, იგი საზეიმოდ ქდერს, თან ცოტა ოფიციალურადაც, ბუნებრივია, რომ მიტინგსა და კრებაზე უნდა ვთქვათ: „ამხანაგებო...“ მაგრამ ჩემი შემთხვევისა არ იყოს, არც ისე ლამაზია, როდესაც ქალს მიმართავ მაგადაც: „ამხანაგო, ხომ არ ინებებთ საღაოს“. არც ისაა მთლად კარგი, რომ «Товарищ»-ს არა აქვს მღელღრობითი სქესი. გამოდის რომ სიტყვა „ამხანაგო“, რომელიც ხშირ შემთხვევაში კარგ სამსახურს გვიწევს, ზოგჯერ არ გამოდგება უშუალო მიმართვის დროს. ამასთანავე შეიძლება ეჭვიც კი დაგებადოს (პარტიული კომუნისტური თვალსაზრისით) რა ჩემი ამხანაგია ვიღაც შემთხვევით შემხედური, ან ცრუმორწმუნე დედაბერი.

დავერჩა: მოქალაქე, მოქალაქეო, მაგრამ ამ შემთხვევაში გვებადება შემდეგი ფრაზის ასოციაცია: „მოქალაქე მსაჯულნი, მე ღარიბი მშობლების შვილი ვარ“ და ა. შ. ასეა თუ ისე, ეს ყოველგვარ სიბოძს მოკლებული იურიდიული მიმართვაა.

სიტყვა მოქალაქე არსებობს იტალიასა და საფრანგეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში და ბევრ სხვა ქვეყანაშიც, მაგრამ მათ გვერდით ხომ სხვა მიმართვებიც აქვთ.

როდესაც იტალიაში „სინიორა“, „სინიორას“, ან „სინიორინას“ მიმართავენ, საფრანგეთში „მე-სიე“, „მადამ“ და „მადამუაჟელს“, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში „პანი“ და „პანის“ — ეს სრულიად არ ატარებს სოციალურ-კლასობრივ ხასიათს. ღარიბი ცეცხლფარეში ღარიბ მრეცხავ ქალს „სინიორას“ უწოდებს, მის ქალიშვილს კი „სინიორინას“.

რატომ არის ეს ულამაზო?! — უმაღლესი რანგის ადამიანიც კი იძულებულია ღარიბ ცეცხლფარეშს „სინიორი“ უწოდოს.

ხედავთ? როგორ მარტივდება ყველაფერი. უბერსულობის გამოწვევი „ქალიშვილს“, „მე“-ს ყვირილისა და სახელოში მოქაჩვის ნაცვლად, უნდა ვუთხრათ: „გთხოვთ პანი“ და პანი უმაღლეს მოტრიალდება, მიუსხედავად იმისა ვინ მიმართავს მას: კონდუქტორი, გამყიდველი, ოფიციალტი თუ კონომსახიობი.

მართალია, მეხამუშებოდა, როდესაც პოლონეთში ყოფნისას, მთელი თვე პანად ვიქეცი, ქუჩებში ყველა „პანს“ მიწოდებდა. სამაგიეროდ

სიტყვა „ამხანაგს“ სულ სხვა ელფერი მიეცა ოფიციალური შეხვედრების დროს, კომუნისტებზე, ამხანაგების წრეში.

ან იქნებ „მოქალაქე“ გამოვადგეს? ხომ ყველა მოქალაქე ვართ. ვთქვათ ქალს დაუვარდა ცხვირსახოცი ან ხელთათმანი, ვიღებ მას და მივმართავ: „მოქალაქე, თქვენ დაგივარდათ“... დამიჯერეთ, რაღაც მშრალი, ძალზე ოფიციალურია, თითქოს ვუბნებოდე „მოქალაქე! მიჩვენეთ საბუთები“.

დაიმედებული არა ვარ, რომ სრული თანხმობითა და მსარდაჭერით შეხვედრიან ჩემს წინადადებას დავიბრუნოთ ერთი ლამაზი თბილი, დავიწყებული სიტყვა. ხმარებიდან გასული სიტყვების დაბრუნებაში, საშიში არაფერია. გავისხენთ რამოდენიმე მაგალითი.

თმამდე, ოცდაათიან წლებში ჩვენ არ გვქონდა სიტყვა „მინისტრი“, გვქონდა სასკომი; მინისტრები ჰყავდათ საღადაც იქ, კაპიტალისტებს. არ იყო სიტყვა „ოფიცერი“. უფრო მეტიც, ეს იყო დამამიერებელი, მტრული სიტყვა. არ გვქონდა სიტყვა „გენერალი“. არ იყო „ადოკატი“, იყვნენ დამცველები.

ასე რომ, დავიწყებული სიტყვების დაბრუნებაში საძარბისი არაფერია.

ზოგიერთ გამჭრიახ მკითხველს ალბათ ეღიშება კიდევ, რევოლუციის მიერ უარყოფილი სიტყვების — «господин» და «госпожа»-ს დაბრუნებას ხომ არ მოითხოვს? დმერთმა დავეფაროს! ვის რად უნდა ეს სიტყვები. არასდროს, რევოლუციამდეც არავინ ხმარობდა სიტყვა «господин»-ს.

ალსანიშნავია, რომ რევოლუციის წინა პერიოდში რუსეთში ფართოდ იყო გავრცელებული ფრანგულმა მიმართვა — „მადამ“ და „მადამუაჟელს“. საბედნიეროდ, ეს პროტესტი დროულად შეჩერდა. ისლა გვაკლდა, რომ მიმართვები ფრანგებისაგან გვეცხესა. მაშინ რატომ არ უნდა გვეხმარა „სინიორა“, „ფრაუ“, „პანი“, „მისს“ ან „მისის“?

მაშ როგორღა მივმართოთ მანდილოსანს, რომელსაც დავარდნილ ხელთათმანს ვაწვდით? მე მას ვეტყვი რუსულად: Сударыня вы уро-нили...!

გვძნობს საერთო განცდიერებას. სადამდე შესტოპა! არ გავრცელებდა, არასგზით, არა!

არც მე ვარ დარწმუნებული, რომ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გამოვალ ქუჩაში და გავიგონებ: Сударыня, не скажете... Сударь, будьте любезны...!

მაგრამ, ხომ შეიძლება თანდათან დაინერგოს (გავისხენოთ „სასკომი“ „მინისტრი“). გარდა ამისა, სტატიის მიზანია აღძრას საკითხი ჩვენთვის ესოდენ საჭირო სიტყვის კოლექტიური პოვნისათვის.

ამ მიმართვის საჭიროებას ყველა გრძნობს: „ქალიშვილებად“ მონათლული ხანშიშესული მანდილოსნებიც და ის, ვინაც იძულებულია ყველა ქალს ქალიშვილი უწოდოს.

მოდით, ერთად მოვძებნოთ ეს სიტყვა.

იქნებ მოვნახოთ კიდევ რაიმე ახალი, მე კი ღრმად დარწმუნებული ვარ რომ «Сударыня» და «Сударь»-ზე უფრო ლამაზსა და თბილ რუსულ სიტყვას ვერ მოვძებნით და ბოლოს ისიც უნდა ვთქვა, რომ ხმარებაში ყოფნისას ეს სიტყვა არ ატარებდა არავითარ სოციალურსა და კლასობრივ ხასიათს, ისევე როგორც არ ატარებენ იტალიური „სინიორა“, ინგლისური „მისს“ და ფრანგული „მესიე“.

ვლადიმერ სოლოუხინი

**ყველაზე ძნელი ენა**

ერთმა კაცმა ჰკითხა მეორეს: — აი, თქვენ ბევრი უცხო ენა იცით, რომელი ენაა უფრო ძნელად გასაგები? — ქალია, — უპასუხა მან.

**გეგლისის შემდეგ საავადმყოფოში**

— გაიგეთ ახალი ამბავი? უანი საავადმყოფოშია! — როგორ თუ საავადმყოფოში? გუშინ საღამოს მეგლისზე ვნახე ვიღაც ქერათმიანთა. — მართალია, მის ცოლსაც უნახავს მასთან...

**გავევირი გულუბრყვილობა**

სტუმარი ქალი ეკითხებოდა პატარა ბავშვს: — რომელ საათზე სადილობთ ხოლმე, გენაცვალე? — დედამ მითხრა, როგორც კი დეილა წავა. მაშინვე ვისადილებო.

**გავევირი სიყვარული**

— შეხედე, დედიკო, როგორ ჰგავს პოლის ბიძას ეს ძაღლი! — ოჰ, შვილო, როგორ შეიძლება ახეთი რამის თქმა? — რატომ? შენ გგონია ძაღლი გაიგებს?


**ღიღ მაღაზიაში**

— მე თქვენ ამ ქსოვილს ვთავაზობთ, ქალბატონო. ეს-ესაა მივიღეთ! — მზეზე ხომ არ ხუნდება? — როგორ გეკადრებათ. სამი თვე ვიტრინაზე ილა და ხომ ხედავთ, არაფერიც არ მოსვლია!

**რასგორანში**

—სულელლო! — შეპყვირა ქალმა, —მთელი სადილი კაბაზე ვაღმომხსნით. — არაფერია, ქალბატონო. — უპასუხა მომტანმა ბიჭმა ღიმილით, — კიდევ გვაქვს სამზარეულოში.

ფრანგულიდან თარგმნა მერი ბასიშვილი



# ჩვენი საოჯახო ქალები

## ჩვენი ვიწრო ყნი/თიანი ღრუსკლისი?

ბევრ ახალგაზრდა, გამოუცდელ დიასახლისს ანტერესებს, თუ როგორ შეიძლება ოჯახის უზრუნველყოფა ისეთი საცვებით, რომელიც სასარგებლოც იქნება. გემრიელიც. სოულფასოვანიც და არც ისე ძვირი იღირება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეინახოვროთ ერთი რამ: ზედმეტად მსუყე და ძვირფასა საცვები ყოველთვის არ შეიძლება იყოს ყველაზე სასარგებლო. სრულფასოვანი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საუკეთესო.

ყველა ექიმი დაგვემოწმება, რომ ბევრ დაავადებას (ზედმეტ გასუქებაზეც რომ არაფერი ვთქვათ) ზოგიერთი პროდუქტის უზომოდ მოხმარება იწვევს.

ცხიმის, საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და კვერცხის ჭარბად მიღება მავნებელია. ნენიუ, რომელშიც ამ პროდუქტებს უჭირავთ აუცილებელი. მაგრამ ზომიერი ადგილი. არა მარტო შედარებით იაფია, არამედ, ნამდვილად სასარგებლოც.

უნდა გვახსოვდეს, რომ კერძების დამზადება შეიძლება როგორც კარაჭზე, ისე ზეთზე და მარგარინზე. სრულფასოვანი ცილები მოიპოვება ხორციდან და ხაჭოშიც. ვიტამინებს შეიცავს არა მარტო ფორთოხალი და ლიმონი, არამედ მწვანე ხახვიც. ნახშირწყლებით მდიდარია ძვირფასი კონფეტისა და ალუბლის კისელიც.

სრულფასოვან ცილებს შეიცავს როგორც საუკეთესო, ისე დაბალი ხარისხის ხორცი, კურდღლისაგან დამზადებული კერძი სინოცივრით არ ჩამოუვარდება ხოხობისს. ხოლო

შემწვარი ცოცხალი შეიძლება ბევრმა ამჟობინოს ძვირფას თაროს.

ყოველნაირი კერძის გემო, სულერთია. ძვირია იქნება ის თუ იაფფასიანი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დიასახლისობის ნიჭზე. ეს ნიჭი შველის დიასახლისს მოამზადოს იაფფასიანი ხორცისაგან შესანიშნავი სუბი, წვნიანი და მადისმომგვრელი კატლეტები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერავითარი ხელოვნება ვერ აანაზღაურებს სრულფასოვანი ცილების ან ვიტამინების აუცილებელი რაოდენობის უკმარისობას. შეიძლება ძვირია ხორცი იაფით შევცვალოთ, ხორცი — თევზით ან ხაჭოთი; შეიძლება სადილის პირველ თავად რძის სუბი მოვამზადოთ, მეორედ — ერბოკვერცხი. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი ამის ნაცვლად მოვამზადოთ მხოლოდ ფაფა.

ხილი არა მარტო გემრიელია, არამედ ძალიან სასარგებლოც არის. ვერავითარი ეკონომიურობის მოსაზრებით ვერ მოვაკლებო ბავშვებს ხილს და ბოსტნეულს.

ძვირფასი ტუბილეული და შოკოლადი კი ნაკლებად სჭირდება ბავშვებს, ვიდრე, მაგალითად, ბუტერბროდი ჯემით, ხილფაფით ან მარმელადით.

თუ კვებაში ეკონომია გვინდა გავწიოთ, მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმოთ ჩვენი ოჯახის მენიუში სუბებს, რადგან, როგორც წესი, ეს პირველი თავი სადილი შედარებით იაფია მეორეზე და მაწიერობაც მეტი აქვს. ბორში, ბოსტნეულის სუბები და შეჭამანდები მსუყეა და სასარგებლოც.

გამოცდილი დიასახლისები თვლიან, რომ ხორცის სუბი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის სინოცივრით სუბებს სხვა სუბებს და მოხარული ხორცი ტენიანობის ან პამიდვრის საწებელთან ერთად მეორე თავკერდად გამოგვადგება. ზოგჯერ მოხარულ ხორცს საკვებ მანქანაში ატარებენ და ამ სატენს ურთავენ ღვექელს, ბლინებს, მოხარულ კარტოფილს, მაკარონს, ვერმიშელს.

მოხარულ ხორცს უმატებენ აგრეთვე სხვადასხვა სალათებს და ვინეგრეტებს.

მეორე ხორციანი კერძი რომ უფრო გემრიელი იყოს, მეტი მაწიერობა ჰქონდეს და ამავე დროს იაფიც დაქდეს, მას უნდა დავუმატოთ გარნირი. ხორცის ან თევზის პატარა ნაჭერს რომ ცოტა კარტოფილის პიურე დავუდოთ, კერძი უფრო ნოყიერი გამოვა. მაგრამ თუ ამ პიურესთან ერთად მთავე კომბოსტოს ნაჭერს და ცოტა მოშუშულ სტაფილოსაც დავაწყობთ, კერძი კიდევ უფრო მსუყე იქნება, უფრო გემრიელიცა და სასარგებლოც. საერთოდ, გარნირის როლი სადილში ძალიან დიდია. გარდა იმისა, რომ გარნირის სადილი შედარებით იაფი ჯდება, მას მრავალფეროვნებაც შეაქვს კვებაში. მაგალითად, კატლეტი წიწიბურას (გოფჩიხა) გარნირით და კატლეტი ბოსტნეულის გარნირით სულ სხვადასხვა საქმელია არა მარტო გემოთი. არამედ საკვებ ნივთიერებათა შემადგენლობით. გარდა ამისა, ბოსტნეულის გარნირი ხელს უწყობს ხორცეულისა და თევზეულის შეთვისებას.

განსაკუთრებით სჭირდება გარნირი ღორის, ცხვრისა და სხვა მსუქანი ხორცისაგან დამზადებულ კერძებს. ამ შემთხვევაში გარნირი სულ იაფი ჯდება იმიტომ, რომ მის დასამზადებლად ცხიმის დამატებითი ხარჯვა აღარაა საჭირო.

მეორე კერძებიდან ყველაზე მომგებანია გატარებული კატლეტის, ბიტკის, ტუტეულის, რულეტისა და ზრახის გაკეთება, რადგან შეწვისას და მოხარვისას ხორცი ძალიან იკლებს წონაში და მოცულობაში. მაგალითად, 500 გრ ხორცის ხუთ ულუფად გაყოფა ძნელია — თითოეული ულუფა ძალიან მცირე იქნება. საკატლეტე მასაში კი პურისა და წყლის დამატება საშუალებას იძლევა ამავე რაოდენობის ხორციდან დავამზადოთ თითო ულუფაზე ორ-ორი კატლეტი.

ყარათიანმა დიასახლისმა პროდუქტების ნაწილი ზამთრისათვის შემოდგომიდანვე უნდა დაამზადოს. ყველა დაკვირვებულმა დიასახლისმა იცის, როგორ იზოგება ოჯახის სახსრები, როცა სახლში კარტოფილის, ხახვის, ლობიოსა და სხვა პროდუქტების მარაგია. კარგი დიასახლისი კონსერვებსაც დამზადებს საზამთროდ — ბადრიჩინსაგან, ბულგარული წიწაკისაგან და სხვა.

ზამთარში, როცა ხილის ნაკლებობაა (და ამასთან დაკავშირებით სინდრეტ), მის მაგივრობას შესანიშნავად გასწევს კომპოტები, რომლებიც ჩვენ ზაფხულში და შემოდგომაზე უნდა დავამზადოთ.



# ქართული საბავშვო

კოსმეოლოგია

# ორმოც ორმოც

თმა აღამაზებს ადამიანს, ამიტომ ბუნებრივია, რომ მის მდგომარეობას დიდ ყურადღებას აქცევენ.

თმის საბოლოო ჩამოყალიბება ხდება მომწიფების პერიოდში; შემდეგში კი ადამიანის ხანდაზმულობასთან ერთად თმაც იცვლის თავის სახეს, თხელდება, ადვილად ტყდება და ცვივა—ამას ფიზიოლოგიური ცვენა ეწოდება.

არსებობს კიდევ თმის ნაადრევი და სეზონური დაცვენა. თმის ნორმალურ ზრდას ხელს უშლის როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები. შინაგანი ფაქტორებიდან: ნერვული სისტემის მოშლილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადება და შინაგანი სეკრეციის ჭირკვლების ფუნქციის მოშლა (ფარისებრი ჭირკვლისა და საკვერცხის). გარეგანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: მიკრობები, ქიმიური ნივთიერებების ხმარება, ტემპერატურის დიდი მერყეობა, რენტგენის სხივებით დასხივება და სხვა.

ადამიანს დღეში საშუალოდ სცივია 30-დან 120-მდე ღერი თმა, მაგრამ მისი განახლება ხდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ზოგჯერ ორგანიზმში რაიმე ცვლილებების გამო განახლება აღარ ხდება და ვითარდება ე. წ. გამელოტება.

გამელოტება უმრავლეს შემთხვევაში იწყება 30-40 წლის ასაკში, როდესაც ხდება თავის ქალის გაძვლება, ამის გამო კანი ძლიერ იჭიმება, რასაც მოყვება სისხლის ძარღვების შევიწროება, ხოლო ამ უკანასკნელით კი თავის კანის კვება ქვეითდება. თმის ნაადრევი დაცვენა და გამელოტება მამაკაცებში უფრო ხშირია, რასაც ხსნიან თავის ქალაზე კანის ძლიერი გადაჭიმვით. უფრო ნაადრევ ასაკში (20-26 წელი) თმის დაცვენის მიზეზი ჯერჯერობით დადგინილი არ არის: ერთიანობა ძირითად მიზეზად თვლიან კანის და მისი ცხიმოვანი აპარატის ფუნქციის მოშლას. დიდ როლს აკეთებენ აგრეთვე შთამომავლობის გავლენასაც.

კანის ზედაპირზე არსებობს თვალით უხილავი უამრავი ხერხედი და ფოსო, სადაც იხსნება თვისისა და საცხიმე ჭირკვლების სადინარები. ამ ჭირკვლების ფუნქციის გაძ-

ლიერებას ან შესუსტებას სეზონურად უწოდებენ.

როდესაც ცხიმის გამოყოფა შესუსტებულია, კანი ზედმიწევნით მშრალია, სკდება და ადვილად იქერცლება ფირფიტებად (ქერტლი), ამავე დროს სუსტად არის გამოხატული ქავილი და თმის ცვენა, ამას მშრალ სეზონურად უწოდებენ.

ამის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს ცხიმის ჭარბი გამოყოფა, რომელიც მომწიფების ასაკში იჩენს ხოლმე თავს. სახის კანზე და ზოგჯერ გულმკერდისა და ზურგის მიდამოებში აღინიშნება უხვი გამოყვანი (ფერამქამლები), თმის ძირებში დიდი რაოდენობით არის დალაგებული მოყვითალო ფერის მასა, თმა დაბანვის მეორე დღესვე ბზინავს, ქავილი და თმის ცვენა ძლიერადაა გამოხატული — ამას ცხიმოვან სეზონურად უწოდებენ.

თმის დაცვენა დაკავშირებულია ძირითადად კანის ზედა შრის გარქვებასთან, ცხიმის ჭარბ გამოყოფასთან და ზოგიერთ შინაგან ორგანოს დაავადებასთან. იმისათვის, რომ დავიცვათ თმა ნაადრევი დაცვენისაგან, საჭიროა ვიცოდეთ, როგორი ხასიათის სეზონურასთან გვაქვს საქმე.

ზოგი ფიქრობს, რომ ქერტლიანობის შემთხვევაში თავი ხშირად უნდა დაიბანოს და კვირაში ერთხელ და უფრო ხშირად იბანოს. ეს დაუშვებელია. თავი უნდა დაიბანოს 15-20 დღეში ერთხელ წვიმის, თოვლის ან გადადუღებული წყლით. საბონი იხმარეთ სუსტი — „საბაშო“ და მხოლოდ ერთხელ წაისვით. დაბანვამდე 6 საათით ადრე კანში უნდა შეიზილოთ 5%-იანი გოგირდის მალაში.

ცხმიანი სეზონურის დროს კი თავი უნდა დაიბანოს ყოველ 6 დღეში ერთხელ წყლით და ძლიერ ტუტიანი საპნით (მაგალითად, „საოჯახო“). დაბანვის მეორე დღიდან ძილის წინ კარგია შეიზილოთ სპირტისა და ეთერის თანაბარი რაოდენობით დამზადებული ხსნარი, ან სოლიანი ხსნარი (ერთ ჭიქა წყალზე 1 ჩაის კოვზი საპმელი სოდა).

აღნიშნული საშუალებების გარდა ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადგამაჯანსაღებელ საშუალებებს — ორგანიზმის გაკეთებას, ჰაერზე დიდხანს ყოფნას, კარგ ძილს, კუჭ-ნაწლავის წესიერ მოქმედებას, კარგ ჰიგიენურ პირობებს (ბალიშის პირის ყოველკვირა გამოცვლას). ყველაფერ ამას მნიშვნელობა აქვს ნერვული სისტემის გამაგრებისათვის.

თმის მოვლა შეთავსებული უნდა იყოს სხვა ზოგად ღონისძიებებთანაც, რომლებიც მიმართული იქნება მთელი ორგანიზმის გასამაგრებლად (ვიტამინები, დარიშხანის პრეპარატი, რკინა, გოგირდი და სხვა).

კარგი, გრუხა თმა ადამიანის ჯანმრთელობის მაჩვენებელია, ამიტომ სპორტი და ჰიგიენის დაცვა საუკეთესო საშუალებაა თმის დიდხანს შენარჩუნებისათვის.

ექიმი-კოსმეტოლოგი  
**თამარ როზანო-დუღუჩავა**

მისი სახელი და გვარია რიტა ორფელსი. იგი ჯერ ახალგაზრდაა და ძალზე ლამაზი. გვერდით ორი მამაკაცი ახლავს, მაგრამ მათთვის რიტა ორფელსი ქალი როდია. ის „პირველი კატეგორიის საიდუმლო ობიექტი“ გახლავთ, რომელიც მთელი სისასტიკით უნდა იქნეს დაცული.

რიტა ორფელსი ამერიკაში ცხოვრობს. ბაბუამისი დიდხანია გერმანიიდან შეერთებულ შტატებში გადასახლდა, მას ფიქრადაც არასოდეს არ მოსვლია, რომ მისი შვილიშვილი მე-20 საუკუნის უდიდეს საიდუმლოებათა გამგებელი იქნებოდა.

ლითონის უსარმაზარი ბლოკი, რომელშიც რიტა ორფელსი ცხოვრობს, შეერთებული შტატების დოკუმენტთა საცავია. ეს არის დასავლეთის სამყაროს ყველაზე საიდუმლო არქივი, რომელშიც თავს იყრის ყველა მასალა, რაც კი ატომურ და რაკეტულ ტექნიკასა და კოსმოსურ კვლევას შეეხება. ამ მასალებს, დამუშავებისა და კლასიფიკაციის შემდეგ, ფხიზლად იცავს რიტა ორფელსი.

ამას წინათ შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა განაცხადა: ქალბატონი ორფელსი ჩვენი ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე რომელიმე ჩვენი სწავლული მეატომო. მინისტრი მართალია. რიტა ორფელსმა ხომ მკვლევარებზე გაცილებით მეტი იცის. მეცნიერი ატომური ან რაკეტული კვლევის ერთ გარკვეულ დარგში მუშაობს, ქალბატონი ორფელსი კი (თვითონ იგი ბირთვული ფიზიკის სპეციალისტი) სულ სხვადასხვა დარგის მასალებს იცნობს. მას დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აქვს.

დოკუმენტებისათვის განკუთვნილი კამერისა და თავისი ბიუროს გარდა რიტა ორფელსი უჭირავს სამი კოხტად და მდიდრულად მორთული ოთახი. ეს, ასე ვთქვათ, მისი პირადი სამყაროა. მაგრამ ახალგაზრდა ქალი საკუთარ ოთხ კედელს შორისაც არ არის მარტო—განსაკუთრებულ შენობაში მითავსებული სატელევიზიო აპარატით მას გამუდმებით ადვენებს თვალყურს საიდუმლო პოლიციის ორი აგენტი.


ორფელსს ხშირად აბეზრებენ თავს რეპორტიორები, რომელთაც ძალზე დიდი სურვილი აქვთ ინტერვიუ მიიღონ ესოდენ „საინტერესო“ ქალი-საგან, მაგრამ ამაოდ.

მხოლოდ ერთხელ მისცა რიტა ორფელსმა თავის თავს უფლება, ეთქვა:

„...მე ქალი ვარ და გასაგებია ჩემი სურვილი, მქონდეს ოჯახური მყუდროება, მყავდეს ქმარი, შვილები, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ეს შეუძლებელია“.

ქალბატონი რიტა ორფელსი პენსიაზე გასვლის შემდეგაც დაცვის ქვეშ იქნება, ხოლო თუკი მას მოიტაცებენ, იგი ვალდებულია შსამინი აბი გადაყლაპოს, რომელიც მუდამ თან დააქვს.

# საქართველო



არ სურდათ გაშორებოდნენ მრავალრიცხოვანი არმიიდან დარჩენულ ტყვედღობებზე ქალიშვილს, მაგრამ შექმნილი უნდადოთ ექვსი მათთვის.

მიურუბულ კლუბში ჩაკეტილი ქალიშვილები შიმშილისაგან ნელნელა იხოცებოდნენ. დაუსტებულთ კლავდნენ და თვითნაკეთ კრემატორიუმებში სწავდნენ.

დები შეშინდნენ, რომ სამაგიერო მიეღებოდათ; გადაწყვიტეს სან-ფრანცისკო-დელ-რინკონი დაეტოვებინათ და სხვა თავიანთ უკანასკნელ თავშესაფარში, საბედისწერო „ანგელოზების ფერმაში“ ეძიათ. მათი შტატიდან იმ დროისათვის მხოლოდ ჩვიდმეტი ქალიშვილი იყო გადარჩენილი. აქედან სამი პრერიებში მოკლეს. ასეთივე ბედი ელოდა დანარჩენებსაც, მაგრამ საბედნიეროდ ერთმა მოახერხა გაქცევა. სწორედ მან მიიყვანა ბოროტმოქმედთა კვალზე სისხლის სამართლის პოლიცია. მორიგი შეტაკების შედეგად მარია და დელფინა დაიჭირეს. ევა მიიშალა.

ახლა მოთავრობა დები გონწალსების საქმის კვლევა-ძიებას აწარმოებს. ქალის ტანსაცმელიან სატანებს ჰყოფნით თავხედობა თავიანთი უტოვებლობა ამტკიცონ. თურმე ნუ იტყვი, ისინი მხოლოდ ბიზნესით ყოფილან დაინტერესებული, და რა მათი ბრალია, თუ ზოგიერთი დაჭირავებულთაგანი ვერ უძლებდა ამ უძველესი პროფესიის სიმძიმეს. ბოლოსდაბოლოს, მათ სამედაო სახლები ჰქონდათ და არა სანატორიუმები.

თითქმის ყოველ სახლში დედებზედ ბარებისა და სასტუმროების პარკეტქვეშ აღმოაჩინეს საკუჭნაოებში ამოქოლილი, ჩაქუჭილი ადამიანთა გვამების მთელი გროვები. ჭერ დადგენილი არ არის მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი. როგორც უურნალისტები, კერძოდ კი ჰამბურგის უურნალ „შტერნის“ კორესპონდენტი, რომლის ცნობებზედაცაა ჩვენი მონათხრობი აგებული, იტყობინება, მსხვერპლთა რიცხვის დადგენა ალბათ ვერც მოხერხდება. მშობლებისაგან მოტყუებით მოტაცებულ გოგონებს სხვა სახელებს არქმევდნენ, გვარი კი მათ უკვე აღარ გააჩნდათ...

მ. სტურუა.  
„ნელა“.

დელფინა, მარია, ევა—ასე ერქვათ დებს გონწალსებს. ახლა მათ სატანებს, ვამპირებს, მკვლელებს უწოდებენ.

ჭერ კიდეც 1941 წელს დაიწყო ეს. სამა და მ, მექსიკის ქალაქ ხუანაკატლანთან, რომლებიც წარმატებით ეწეოდნენ უძველეს პროფესიას, ცოტაოდენი კაპიტალი დააგროვეს და სამედაო სახლისა და ღამის კლუბის მაგვარი რაღაც გახსნეს. სახლმა სწრაფად იწყო აყვავება და მარიფათიანი დებიც მის გაფართოებას შეუდგნენ. მალე დები გონწალსების დაწესებულების ფილიალები კიდეც რამდენიმე ქალაქში გაჩნდა.

ეს დაწესებულებები მეტად ცუდი სახელით სარგებლობდნენ. გაძარცვა და კლიენტების მოკვლა აქ ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. მართო ეს რომ ექმარათ, შეიძლება დები გონწალსების ბედი მათთვის ასე სავალალოდ არ შებრუნებულყო.

მაგრამ სამი სატანა როდი დაკმაყოფილდა იმ ბოროტმოქმედებებით, რომლებიც „ჩვეულებრივი ამბის“ გრაფაშია მოხვედრილი. „ტაძართა“ სიუხვე მათ ქურუმთა და მსხვერპლთა სიუხვეს კარნახობდა. დები გონწალსების აგენტები სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და ღატაკ მშობლებს არასრულწლოვან გოგონებს სტყუებდნენ. უბედურები სიხარულითა და ხალისით აძლევდნენ თავიანთ შვილებს, რადგან სჭეროდათ, რომ მათი გოგონები, თითქოსდა მოახლებად იმუშავებდნენ „კეთილშობილ ოჯახებში“.

მექსიკის ყოველი კუთხიდან მოედინებოდა ცოცხალი საქონელი სამი დის ფერმაში, რომელიც საღვთო უკიდგანო პრერიების სიღრმეში იყო და პოეტურ სახელს ატარებდა — „ანგელოზების ფერმა“. გოგონებს აქ ძალად ასწავლიდნენ საზოგადო-

ხელობას და სამედაო სახლებში აგზავნიდნენ. ახალ-ახალ ტანჯვას ბოლო არ უჩანდა. ასე მაგალითად, აიძულებდნენ საათობით მდგარიყვენ მუხლებზე და ხელში მძიმე ქვები სჭეროდათ, თუ რომელიმე ვერ აიტანდა, მას როზგი ელოდა.

ხანმოკლე იყო „ანგელოზების“ სიცოცხლე. მას ვინც ავად ხდებოდა, ორსულდებოდა, ანდა წარმატებით ვეღარ სარგებლობდა კლიენტებთან, ვითომც არაფერი, კლავდნენ. ასეთივე ხვედრი ელოდა იმასაც, ვინც წინააღმდეგობის გაწევას, თავისუფლების მოპოვებას შეეცდებოდა, ან დები გონწალსების ბიზნესის შესახებ ვინმეს რამეს ეტყოდა.

ამ სატანებს საკუთარი პოლიცია ჰყავდათ, რომელსაც ვინმე კაპიტანი ცუნიგა ედგა სათავეში. თუმცა სახელმწიფო პოლიციაც წყალობად დებს. უზარმაზარი მოგება მათ საშუალებას აძლევდა ადგილობრივი ხელისუფლება მოეყიდათ. „ანგელოზების ფერმას“ ჰქონდა საკუთარი სასამართლო, საკუთარი კანონები და საკუთარი ჯალათებიც ჰყავდა.

როცა 1962 წელს მექსიკის უმეტეს შტატებში პროსტიტუცია აიკრძალა, დებს ყველა სამედაო სახლის დაკეტვა მოუხდათ, გარდა ერთის—ქალაქ ლაგოს-დე-მორენოს სახლისა. მალე ისიც დაკეტეს, დები გონწალსების და შტატის პოლიციას შორის გამძაფრებული სისხლისმღვრელი შეტაკების შედეგად. დები და მისი ბანდა სან-ფრანცისკო-დელ-რინკონში გაიქცნენ. თუმცა ამისათვის საჭირო გახდა ხელის ტყვიამფრქვევით თავის დაცვა და ბრძოლის ველზე რამდენიმე გვამის დატოვებაც.

მაგრამ აქაც დახურეს მათი კლუბი. უკეთესი დღეების მოლოდინში გონწალსებს

გ ა რ ე კ ა ნ ზ ე — „ყვავილების დღესასწაული“. ფერადი ფოტო ნორა ანთიძის.

რედაქტორი თ. აბაშშიძე. სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე, (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჭავჭავაძე.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია, ტექნიკური რედაქტორი ქ. დემუროვა. რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV 64 წ. ქალაქის ზომა 60x92. ტირაჟი 50.000. შეკვ. № 835 უე 04260, ფასი 30 კაპ. საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелოს кали». Издательство ЦК КП Грузии.

# აქედითა გზის-ყურის



გიორგიანი — „რიგოლეტო“

1963 წლის 28 ნოემბერს კალიფორნიაში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა საოპერო სცენის გამოჩენილი მოღვაწე ამელიტა გალი-კურჩი. ის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მომღერლების იმ პლუადისა (ე. კარუზო, თ. შალიაპინი, ტ. რუფო, ბ. ჯილი), რომელთა შემოქმედება იყო უმნიშვნელოვანესი ეტაპი ვოკალური ხელოვნების ისტორიაში.

ამელიტა გალი-კურჩი დაიბადა 1882 წლის 18 ნოემბერს ქ. მილანში, კომერსანტ ენრიკო გალის ოჯახში. 1903 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა კონსერვატორია (ფორტეპიანოს კლასი) და ხელი მიჰყო პედაგოგიურ მუშაობას. სრულიად ახალგაზრდა ქალმა მალე სახელი გაითქვა როგორც შესანიშნავმა პიანისტმა და პედაგოგმა. ვინ იცის რა გზით წარიმართებოდა მისი კარიერა, რომ ერთ შემთხვევას არ ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი მის ცხოვრებაში.

ერთხელ მას ცნობილი იტალიელი კომპოზიტორი პიეტრო მასკანი ესტუმრა. ამელიტას არა ერთხელ გაუოცებია მაესტრო შესანიშნავი სამშობლოებზე სხელოვნებით, მაგრამ ახლა იგი კომპოზიტორის წინაშე წარსდგა როგორც ვოკალისტი. მის მიერ შესრულებულმა ფლვირას არ იამ ბელინის ოპერა „პურიტანებიდან“ აღტაცებაში მოიყვანა კომპოზიტორი; ამის შემდეგ ამელიტამ სერიოზულად მოკიდა ხელი ვოკალურ განათლებას.

ბუნებრივ დაყენებულმა ხმამ, ბრწყინვალე სმენამ, თეატრ „ლა-სკალაში“ სპექტაკლებზე სისტემატურმა დასწრებამ, ვოკალური ლიტერატურის გაცნობამ და მუყაითმა შრომამ განაპირობა ამელიტას დიდი წარმატება მოკლე დროში პედაგოგებთან მუშაობის გარეშე. 26 დეკემბერს ქალაქ ტრანის თეატრ „კომუნალეში“ შედგა დებიუტი ვერდის ოპერა „რიგოლეტო-

ში“. ბრწყინვალედ შესრულებულმა ჯილდას პარტიამ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი. აქედან იწყება დიდი გზა ხელოვნებისაკენ. 1908 წელს უკვე რომშია მიწვეული და ბიზეს კომიკურ ოპერა „დონ-პროკოფიოში“ მაყურებელს სიბლავს როგორც მშვენიერი მომღერალი და მსახიობი. მცირე ხნის შემდეგ იგი ცოლად მიჰყვება ზნატვარ ლუიჯი კურჩის.

1908-09 წლების სეზონში ა. გალი-კურჩი იტალიურ დასთან ერთად წარმატებით გამოდის ეგვიპტეში. კვლავ მიწვევები, გასტროლები ბრაზილიასა და ურუგვაიაში, საიდანაც სამშობლოში ბრუნდება უკვე სახელმწიფოეკილი.

ესპანეთში გასტროლების შემდეგ, სადაც მან მადრიდის თეატრ „რეალში“ იმღერა წარმატებით, 1914 წელს ეწვია პეტერბურგს და ცნობილ რუს მომღერალთან სობინოვთან ერთად გამოვიდა გუნდს „რომეო და ჯულიეტასა“ და ტომას „მინიონში“. განსაკუთრებული წარმატება ქონდა ვერდის „ტრაგიატაში“.

პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებული გალი-კურჩი ტიტო სკიასა და ტიტო რუფასთან ერთად დიდი წარმატებით გამოდის იტალიის საოპერო სცენაზე, ხოლო 1915 წელს კი ბუენოს აირესში კარუზოსთან ერთად მღერის დონიკეტის „ლუჩიაში“. 1916 წელს მიწვეული იქნა ჩიკაგოს ოპერაში.

ბენიამინო ჯილთან ერთად გალი-კურჩი ოპერა „ტრაგიატაში“ ხსნის ნიუ-იორკის ოპერა „მეტროპოლიტენის“ 1921-22 წლების სეზონს. არ დარჩენილა მსოფლიოში ისეთი კუთხე, სადაც არ გამოსულიყო გალი-კურჩი. აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში, ავსტრალიასა და აფრიკაში გაისმოდა მისი მშვენიერი ხმა. თითქმის ყველან მის გამოსვლებს ტრიუმფალური წარმატება ჰქონდა. ნიუ-იორკის ოპერა „მეტროპოლიტენში“ „ტრაგიატას“ შემდეგ მას გაუმარ-

თეს ნახევარსაათიანი ოვაცია, რომლის შემდეგ იძულებული იყო სცენაზე გამოთრეულ რომაელზე საკუთარი აკომპანიმენტით შესრულებინა რომანსები და არიები ოპერებიდან. პეტერბურგში მისმა გამოსვლებმა დაუეწიყარი შთაბეჭდილება მოახდინა. „გალი-კურჩის „ტრაგიატას“ მსჯავსი პეტერბურგს დიდი ხანია არ მოუსმენია“ — წერდნენ იმდროინდელი გაზეთები, ხოლო ლონდონში ცხრა თვით ადრე მის კონცერტზე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. „თვით ბუენოს რომ მოეხმინა ეს მშვენიერი მომღერალი, იგი მას გაუთავებელი ტაშით დააჯლოდოვებდა, — სწერდა ესპანეთის ერთ-ერთი გაზეთი მისი ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ ბელინის „სომნაბულასა“ და „პურიტანებში“.

1935 წელს გალი-კურჩიმ გადაიტანა ყელის სერიოზული ოპერაცია. მიუხედავად იმისა, რომ მან ხმა მალე აღიდგინა და 1936 წელს ჩიკაგოში პურინის „ბოქშიში“ მიმის პარტიაც კი შეასრულა, ეს მისი უკანასკნელი სპექტაკლი იყო. რამოდენიმე კონცერტის გამართვის შემდეგ 1937-38 წელს გალი-კურჩიმ დაასრულა თავისი კარიერა და საბოლოოდ დასაბლდა კალიფორნიაში.

გალი-კურჩის ვოკალური კულტურა, ბრწყინვალე ტექნიკური შესრულება, იშვიათი სილამაზის ტემბრი და მაღალი სცენური ოსტატობა უკვდავყოფს მის ხელოვნებას. იგი თავისი დროის ყველაზე პოპულარული მომღერალი იყო. „დიხს, — ამბობდა ცნობილი მომღერალი დიბული, — ჩვენი თაობა თავის მომღერალ დედოფლად აირჩევს ამელიტა გალი-კურჩს“ და მართლაც გალი-კურჩი იყო შესანიშნავი. მომღერალი ქალი, რომელიც ღირსეულად აგრძელებდა ჯული გრიზოს, ადელინა პატისა და მარჩელი ზემბრინის დიდებულ ტრადიციებს.

628/134

ИДЕКС 1977  
1977

